№ 68
პარასკევი, 29 მარტი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

,,ივერიის‘‘ ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

№ 68
პარასკევი, 29 მარტი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

,,ივერიის‘‘ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1 აპრილიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს **რვა მანეთად** (8 მ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.
ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის‘‘ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

წლიური ჩვეულებრივი საზოგადო კრება

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა

დანიშნულია 6 აპრილს, შაბათს, დილის ათ საათზე, ს. კუხს, ამხანაგობის სამმართველოში. საგნები კრებისა: 1) 1900 და 1901 წლების ანგარიშების დამტკიცება; 2) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა სამინისტროსაგან დამტკიცებულის წესდების თანახმად; 3) 1902 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება; 4) ამხანაგობის მმართველის მიერ წარმოდგენილ მოსაზრების განხილვა ორას წლით, საცდელად, წარმომადგენელთა საზოგადო კრების შემოღების შესახებ; 5) გამგეობისადმი მინდობა ამხანაგობის აღებ-მიცემობისათვის ფულის სესხებისა და 6) ამხანაგობათა კავშირის წესდების შემუშავებისა და დასამტკიცებლად წარდგენის მინდობა გამგეობისადმი სხვა ამხანაგობათა წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

(10—ნ.—3) ამხანაგობის მმართველი **ნესტორ წერეთელი.**

ქართული თეატრი.

შაბათს, 30 მარტს, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში გამართული იქნება

კონცერტი,

რომელშიაც იმღერებს, გურულ ტანისამოსში გამოწყობილი, ხორო გურულს, ქართულს, მეგრულს, იმერულს და კახურს სიმღერებს. მათ შორის აღასრულებს ორ-სართულიან ფერხულს და მეგრულს ნადურს თოხნით, ისე, როგორც ნამდვილ ყანაში.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

(3—უ.—2)

ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მოიწვევს მაზრის თავად-აზნაურთ

საგანგებო სამაზრო კრებაზედ

ამა მარტის 31, კვირას, დილის 10 საათზედ, თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

საგნები განხილვისა:

1. რა დანიშნულებითა და რა წესით იქმნას დახარჯული უმაღლესად ნაბოძები 40 ათასი მანეთი ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მოზარდ თაობის აღსაზრდელად და 2. რა დღისათვის იქმნას მოწოდებული მორიგი კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა. (3—ნ.—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტერიოლოგო გამოკვლევანი.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს‘‘, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, თვალისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

ახალი ამბავი

◆ გუშინ-წინ, 27 მარტს, ქალაქის გამგეობის სხდომას მოხსენდა გუბერნატორის გადაწყვეტილება, რომ ხმოსანი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი თუმცა სასამართლოში იყო მიცემული ერთად ქალ. თავ. ევანგულოვთან, გამგეობის წევრთან ხოსროევთან და სხვ. მაგრამ რა-კი პალატაში მათთან ერთად გამართლებულ იქმნა, ამიტომაც ნება აქვს დაუბრუნდეს ხმოსნის თანამდებობასაო. გამგეობამ დაადგინა აცნობოს ეს გარდაწყვეტილება საბჭოს.

◆ ქალაქის სკოლების კომისიამ გამგეობას წარუდგინა პროექტი შესახებ სახელოსნო სასწავლებლის ახალ წესდებისა. გუშინ-წინ გამგეობამ დაადგინა სასკოლო კომისიის პროექტი განხილულ იქმნას განსაკუთრებულის შეერთებულის კომისიისაგან, რომელშიაც მოწვეულნი უნდა იყვნენ აგრეთვე ალიხანოვი, არ. ბაბოვი, ლისიცინი და კარაპეტოვი. კომისიის სხდომა გამგეობამ დანიშნა ოთხშაბათს, საღამოს 8 საათზე.

◆ ამას წინად, როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, ქალაქის თვით-მმართველობის 60-მდე მოსამსახურეებმა სთხოვეს გამგეობას, რომ ½ თვის ჯამაგირი მოგვეცით ავანსად და გამოგვირიცხეთ მთელის წლის განმავლობაში წვრილ-წვრილად, რადგან ჩვენის შემნახველ-გამსესხებელ კასის საქმე არევდარეულია და ხელს ველარ ვიმართავთო. გუშინ-წინ, 27 მარტს, ამ თხოვნის გამო გამგეობამ დაადგინა: თხოვნის განხილვა გადიდვას შემნახველ-გამსესხებელ კასის მდგომარეობის გამორკვევამდე.

◆ კასპიის ზღვაში მდებარე კუნძულ ჩელეკენზე ისე კარგად მიდის რუსის ნავთის მწარმოებელთა საქმე, რომ ორს დიდს ფირმას განუზრახავს უფრო გაადიდონ თავიანთი წარმოება და დააარსონ აქციონერთა საზოგადოება; საჭირო წესდება წარუდგინეს კიდეც მმართველობას. ინგლისელებმა უკვე მიაქციეს ყურადღება ამ კუნძულს და ლონდონიდგან გამოგზავნეს ინჟენერ-ქიმიკოსი, რომელმაც ორი კვირა დაჰყო ჩელეკენზე და წაიღო ნავთი რამდენიმე ფუთი გასასინჯავად. ამ ჟამად მოიწერეს, რომ ინგლისელთ ერთობ მოეწონათ ჩელეკენის ნავთი და მოლაპარაკებაც დაიწყეს რუსის ფირმებთან: ერთად ვაწარმოვოთ საქმეო.

◆ სადგურ ბაქოდამ გვწერენ: 27 მარტს, დილის ათ საათზედ, მემაშინე მხეიძეს მიჰქონდა ორთქლმავალი ონკანოსთან წყალის ასაღებად. ამ დროს ლიანდაგზედ გადადიოდა ახალგაზდა ქალი, 23 წლისა, პელაგია ლეგუშინი, რომელიც მოჰყვა ორთქლმავალს ქვეშ. საბრალომ იქვე სული დალია.

◆ ამ მოკლე დროს პეტერბურგიდგან გამგზავრება იერუსალიმსა და სინას მთაზე იქაურ მონასტრების ხელნაწერების შესასწავლად პროფესორი ნ. მარრი.—ამ გარემოებამ გაგვახსენა შემდეგი ნაამბობი ჩვენის ქვეყნის ნაცნობის ოლივერ უორდროპისა: „188... (წელიწადი არ გვახსოვს) წელს „ტაიმსში“ წავიკითხე სინას მთაზე გამგზავრებულის მეცნიერ ინგლისელის წერილი, რომელიც ატყობინებდა მეცნიერების მოყვარეთ, რომ სინას მთის რამდენსამე მონასტერში ვნახე იატაკებზე დაყრილი ძველ პერგამენტებზე ხელნაწერი წიგნები, რომელნიც ნოტიოსა და მოუვლელობისაგან ლპებიანო. ხელნაწერები ქართულნი არიან. საფიქრებელია, რომ ისინი ძველი მწერლობისათვის ფრიად საყურადღებონი იქნებიან. საჭიროა ძველის ცივილიზაციის შესწავლის მოყვარულებმა იკისრონ ამ წიგნების შესაფერად დაკრძალვაო და სხვ.“ მე და ჩემმა დამაო,—დასძინა პატივცემულმა ოლივერმა,—ცოტაოდენი ფული შევკრიბეთ და გავუგზავნეთ ავტორს და ვსთხოვეთ შკაფები გაეკეთებინებინა იმ წიგნებისათვის. მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ ფული უკანვე მოგვივიდა. მეცნიერი მოგზაური გვწერდა: „აქ ისეთი სიძვირეა საშენ მასალისა და დურგლებისა, რომ თქვენგან გამოგზავნილი ფული არა კმარა იმდენ წიგნებისათვის შკაფების გასაკეთებლადაო“.

◆ დიღომი: ადგილობრივის მღვდლის აპოლონ ივანიცკის მზრუნველობით არსდება საკვირაო სკოლა მოზრდილთათვის. უკვე 40 მეტი გლეხი ჩაეწერა (18-დამ 65 წლისანი), მათ შორის სოფლის ყველა მოხელენი. სწავლების თვიური ფასი 40 კაპიკია. ეს ფული სასწავლო ნივთებისა და წიგნების ყიდვას მოხმარდება. წერა-კითხვა და საგნების სწავლება (პირველ-დაწყებითი ცოდნა საღმრთო სჯულიდგან, კანონმდებლობიდამ, მედი-

ფელეტონი

გრაფი ტოტლებენი და მისი ადვოკატი ბ-ნი ლინდა.

V

(დასასრული *)

კვალ და კვალ რომ გავყვეთ ლინდას, ბევრს საყურადღებო გარემოებას წავაწყდებით, ზოგჯერ შეუდარებელ მარგალიტებსაც ვიპოვნით. „ერეკლე კარგი მეომარი და დახელოვნებული პოლიტიკი იყოო, ბრძანებს ბ-ნი ლინდა, მაგრამ ადმინისტრატიული ნიჭი არა ჰქონდაო. ხასიათით ორპირი და ეჭვიანია, რადგან სპარსეთის შაჰის კარზე დიდ ხანს იყოო“ 48). ადმინისტრატიული ნიჭი არა ჰქონდაო.—რაზე აფუძნებს ისტორიკოსი ასეთ მსჯავრს? წესი და რიგი არა ჰქონდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, შუღლი და აურ-ზაური, ამბოხება თავადთა შორის განუწყვეტელი იყო მისს ხანგრძლივს მეფობაშიო. ამ უწესოებას ისიც დაემატა, რომ დავი-დარაბა თვით საკუთარ ოჯახშიაც ვერ მოსპოვო 49). სრული ჭეშმარიტებაა, რომ ერეკლეს სამეფოში და თვით მის საკუთარ ოჯახშიც შფოთი და მღელვარება სუფევდა, მაგრამ ადმინისტრატიული ნიჭი ერეკლესი აქ რა შუაშია? საქართველოს შინაური უწეს-რიგობა ნაყოფი იყო ხანგრძლივის ისტორიისა და მარტო ერეკლე, უდიდესის ადმინისტრატიულის ნიჭის პატრონიც რომ ყოფილიყო, შერყეულს ქვეყანაში სასურველს წესსა და რიგს ვერ ჩამოაგდებდა. გარეშე ასეული მტერი და შინ უწესოება დაჰხვდა, როცა მეფობა დაიწყო. რაც გააკეთა ამ სახელოვანმა მეფემ, ან მტრის მოგერება-ალაგმით, ან სწორედ რომ ადმინისტრატიულის წესის შემოღებით, ესეც დიდად საკვირველია. მეტის მოთხოვნა ერთის კაცისაგან უმადურობა იქნება. ძლიერ ფეოდალების ალაგმვა, მათი სრულიად ამოწყვეტა დედაბუდიანად, ბატონიშვილების უბრალო მოხელეებად გადაქცევა, ერთი სიტყვით, მონარქიულ პრინციპის ბრწყინვალედ განმტკიცება იმ სახით, როგორც რუსეთში იოანე მრისხანე და მისნი წინაპარნი იქცეოდნენ, ან საფრანგეთის კაპეტინები, შეუძლებელი იყო ერთის კაცის ძალ-ღონით, თუნდა ეს კაცი თვით ერეკლე ყოფილიყო. შინ წესი და რიგი მაშინ ჩამოვარდებოდა, ოდეს მეფენი გარეთ გაძლიერდებოდნენ. აი, სწორედ ამ გაძლიერებისათვის ეტანებოდნენ ერეკლე და სოლომონი რუსეთის გვირგვინოსანთა და დახმარებასა სთხოვდნენ. რაკი ვერ მიიღეს სასურველი დახმარება და შემწეობა, საქმეც წააგეს. გენიოსი ადმინისტრატორიც რომ ყოფილიყო ერეკლე, რა სასურველი შინაური წესი უნდა დამყარებულიყო, როდესაც ქვეყანამ ველარ შესძლო ლეკეთის ალაგმვა, თუმცა ლეკებს ერეკლემ ბევრჯელ ჩაამტვრია ცხვირ-პირი.

მაგრამ ეს არ ადარდიანებს და არ აწუხებს ახალ მოვლენილ ისტორიკოსს. ერეკლეს ადმინისტრატულ უნიჭობას იმაში ჰხედავს, რომ რუსის კორპუსს დროზე სურსათს ვერ აწვდიდაო და... აქედგან ცხადია დასკვნა,—თუ ტოტლებენმა ვერა გააკეთა-რა, ეს სულ ერეკლესი და სოლომონის ბრალია, რადგან ჯარს სურსათი ვერ მოუმზადეს საკმარისადაო. შინაური უწესოება გაკვრით აღნიშნა ლინდამ და გაანება თავი, შემდეგ სულ უსურსათობასა სჩივის, სწორედ ისე, როგორც თავის დროზე ტოტლებენი. პეტერბურგში ტოტლებენს პირზე არ აკოცებდნენ და ეტყოდნენ, გენერალო, აბა გვიამბე, რა გააკეთე საქართველოშიო. ტოტლებენსაც პასუხი წინადვე მზადა ჰქონდა, სურსათი არა მქონდა, რა უნდა გამეკეთებინა. მარტო ერთი „წარმოდგენა შიმშილისა“ თავს ზარსა მცემდაო 50). ასე იწურებოდა ტოტლებენი და გამართლების გზას იკვალავდა. ასევე იქცევა ტოტლებენის ადვოკატიც, ბ-ნი ლინდა და წარა-მარად სულ იმას გაიძახის, სურსათი არა ჰქონდა რუსის მხედრობასაო 51).

მართალია, ბევრჯელ სურსათის ნაკლულევანება ყოფილა, მაგრამ ისიც მართალია, რომ ბევრჯელ თავზე საყრელიც ჰქონიათ საჭმელ-სასმელი 52). აწყურისაკენ რომ წავიდა ტოტლებენს რამდენისამე დღის სურსათი ჰქონდა დამზადებული, აწყურთან კიდევ ყაზახებმა ასი ძროხა მოსტაცეს სოფლელებს. სადგერში (ბორჯომის ახლოს) ერეკლე შეეკითხა ტოტლებენს, სურსათი რა ადგილს დავამზადოვო. ტოტლებენმა პასუხი არ აღირსა მეფესა. ქვიშხეთში ქართველები ცხადად და დაუშლელად რუსის სალდათებისაგან ჰყიდულობდნენ გამომცხვარ პურსა და შერიას 53). მშიერი ჯარი გამომცხვარ პურს როგორა ჰყიდდა, ბ-ნი ლინდა არ გვაუწყებს.

აწყურს ტოტლებენი სრულის მხედრობით არ ავიდა. ნახევარი ჯარი და ექვსი ზარბაზანი სადგურში დასტოვა. აწყურს მხოლოდ ნახევარი აიყვანა ჯარისა, ერთი ზარბაზანი წაიღო და ორი კარავი აიტანა. ცხადია, ტოტლებენს წინადვე ჰქონია გულში გადაწყვეტილი გამოპარვა და არა ოსმალებთან ბრძოლა. თუ ღალატი გულში არა ჰქონდა, რომელი ჭკვათა მყოფელი სარდალი წავიდოდა ციხის იერიშით ასაღებად და თან წაიღებდა შვიდ ზარბაზნიდგან ერთსა და ჯარისათვის მხოლოდ ორს კარავს. აქვე აწყურთან ერეკლე ეუბნება ტოტლებენს—სურსათის ფიქრი ნუ გაქვთ, ჯარის-კაცნი გაგზავნილი მყავს და მალე ყველაფერს მოიტანენო. ტოტლებენმა არა შეისმინა-რა და, ვითომც უსურსათობით შეშინებული, სადგერს დაბრუნდა. ერეკლეს გაგზავნილმა კაცებმა თავზე საყრელი საგზალი მოიტანეს, მაგრამ რაღა დროს, ტოტლებენი უკვე გაქცეული ბრძანდებოდა.

აწყურიდგან ტოტლებენის დაბრუნების ამბავს ასე გვიამბობს ვეიდენბაუმი: „აპრილის 16-ს 1770 წ. ტოტლებენმა და ერეკლემ გაიარეს ლეკებისაგან აკლებული ციხე საკირე 54); 17 აპრილს, შუადღისას, მივიდნენ აწყურს. აქ მოხდა დაუჯერებელი ამბავი: 19 აპრილს, ერეკლეს შეუტყობინებლად, ტოტლებენმა პირი იბრუნა და სურამს გასწია. როგორც რუსისა, ისე ქართველების ჯარი შეკრთა, აღელდა, შეძრწუნდა და ბოლომით აივსო ასეთის საქციელით. ერეკლეს ბანაკში ალიაქოთი ჩამოვარდა. ქართველები ხმა-მაღლა ჰყვიროდნენ, გვიღალატესო. თვით მეფე ტოტლებენთან მიიჭრა და ემუდარებოდა დარჩენილიყო. მზადა ვარ სრულიად დაგემორჩილო და უმცროსის აფიცრის ადგილი დავიჭიროვო. მაგრამ ტოტლებენმა არ შეისმინა არც ხვეწნა-მუდარა, არც საბუთი მეფისა. აწყურის მეციხოვნეთ, შეატყეს-რა, მტრის ბანაკში ალიაქოთიაო, გამოვიდნენ ციხიდგან და შეავიწროვეს წინმდგომი ქართველები, მაგრამ ერეკლემ წესი აღადგინა და ოსმალონი ისევ ციხეში შელალა“ 55).

---

*) იხ. «ივერია» № 67.

48) იხ. „В. Сб.“, № 9—1901 г., стр. 14;

49) ibidem, გვ. 14.

50) აი, ტოტლებენის საკუთარი სიტყვები: „опасность голода—воображеніе ужасное,“ იხ. ლინდას წერილი, „В. С.“ № 10—1901 წ. გვ. 63.

51) იხ. „В. Сб.“. № 10—1901 წ. გვ. 61 და სხვანი.

52) ისეთი ლაშქრობა არ ვიცით, რომ სურსათის ნაკლულევანება არა ყოფილიყოს. გაიხსენეთ თუნდა ესრედ წოდებული **„сухарная экспедиція“**, აქაც ხომ ერეკლე არა ყოფილა! რა სათქმელია, რომ ჯარს სანოვაგე საგზლი ერთხელაც არ შემოაკლდეს ლაშქრობაში!

53) იხ. Потто... Ист. очеркъ... გვ. 104. რუსულად: **„открыто и свободно.“**

54) საკირეს ციხე დღესაც უვნებლად სდგას და დაჰყურებს მაღალ გორიდგან სამს სოფელს: საკირეს, ტაძრისსა და დგვარს. ეს სოფლები ქართველებითაა დასახლებული. წარსულ საუკუნეს დაბინავდა აქ ხეობის ქართველობა.

55) იხ. Потто, Ист. очеркъ, გვ. 102. რუსულად დედანში ასეა: **„На слѣдующій день миновали разоренную лезгинами крѣпость Сакире, а 17 апрѣля въ полдень подошли къ крѣпости Ацхуръ. Здѣсь случилось невѣроятное происшествіе: 19 апрѣля Тотлебенъ, не предупредивъ Ираклія, повернулъ назадъ и пошелъ въ Сурамъ, къ великому смутенію и негодованію русскаго и грузинскаго войска. Въ лагерѣ Ираклія поднялся переполохъ. Грузины громко кричали объ измѣнѣ. Самъ царь прискакалъ къ Тотлебену и умолялъ его остаться, выражая готовность вполнѣ подчиняться ему и занять мѣсто младшаго офицера. Но Тотлебенъ остался глухъ ко всѣмъ убѣжденіямъ и моль-**

ცინიდგან, აგრეთვე ანგარიში) იტვირთა თვით მღვდელმა უსასყიდლოდ. ამავე მღვდელმა დაიარა გლეხების ოჯახობა და უხსნიდა ხალხს აბრეშუმის ჭიის მოყვანის საჭიროებასა. ვისაც ფურცელი მოეპოვება, ტფილისის ,,საბრეშუმო სადგურიდგან'' თესლის მოტანასაც მღვდელივე დაჰპირდათ. აქამომდე-კი ხალხი გაურბოდა ჭიის მოყვანასა: სეტყვა და ქარი იმან იცისო. ვისურვოთ, განხორციელებულიყოს ეს კეთილი დაწყობულება ბ-ნი დ. ზ. სარაჯიშვილი ამ ახლო მომავალში შეუდგება რკინის ხიდის გაკეთებას დილმის ხევზედ.

◆ ჩვენს მკითხველებს იქნება ახსოვდეთ, რომ 1883 წელს არქიეპისკოპოსმა სარქის ჯალალიანცმა ლაზარევის ინსტიტუტს აღმოსავლეთის ენებისას მოსკოვში უანდერძა ფული იმ პირობით, რომ იგი შენახულ ყოფილიყო მოსკოვის გუბერნიის ხაზინაში 125 წელიწადი და 125 წლის შემდეგ, როცა თავნი და სარგებელი 12 მილიონს მიაწევს, ისე მოიხმარონ, როგორც ანდერძშია მოხსენებული. ,,С. Петер. Вѣд.'' სიტყვით, არქიეპისკოპოსისაგან დატოვებული თანხა ამ წლის დამდეგს სარგებლის სარგებლიანად 85,402 მანეთამდე ასულა.

იმერეთის ამბები:

ქუთაისი: „მტრობით თუ უცაბედად ცეცხლის გაჩენა ქუთაისს და მისს მახლობელ სოფლებში ძალიან გახშირდა. დღეს, 26-ს მარტს, პოლიციის ქუჩაზე დაიწვა მეჩექმე თუთბერიძის ერთი ხის და ორი ქვის ორ-სართულიანი სახლი, რომელშიაც მოთავსებული იყო 2 საპოლიციო ნაწილი საფიჩხიის გორისა. უკეთურობის მყოფმა ცეცხლი ალიონზე გაუჩინა სახლს, როცა ის იყო ქარიც ძლიერა ქროდა. გვიან მოსულმა ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ვერა უშველა-რა და ქვითკირის სახლიდგანაც ვერა გადაარჩინა-რა, ფერფლათ იქცა ყოველივე. ამბობენ, პოლიციის ბოქაულს ფულებიც ბლომად დასწვიაო. ცეცხლის მქრობელ რაზმს დილას რომ ვერ დაექრო ცეცხლი, საღამოს კიდევ მირბოდნენ დარჩენილის დასაქრობლად. დაწვის გუმანი თუთბერიძეს ერთ თავისს მეტად გადამტერებულ პირზე მიუტანია, რომელიც ამას წინად დაჰმუქრებია მას: «თუ ბიჭი ვყოფილვარ, ჩავაცმევ რუსის მაზარასაო“ და მართლაც სახლის პატრონი თუთბერიძე დაუჭერიათ კიდეც. ერთი სახლი მისს პატრონს 8,000 მ. ჰქონია დაზღვეული; ამ დღეებში ამ სახლში 15,000 მ. უძლევიათ, მაგრამ არ გაუყიდნია. დანარჩენი ზარალი კიდევ სხვაა. ამ საქმისათვის სახლის პატრონის თუთბერიძის დაჭერა ყველას აკვირვებს...

25-ს ქ-ნმა ნ. ჩხეიძემ წარმოდგენა გამართა ვ. მესხიშვილის მონაწილეობით. წარმოადგინეს ,,ებრაელი ქალი''. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, გარდა საჩუქრებისა, სცენაზე ცოცხალ ყვავილების სროლას დასასრული აღარ ჰქონდა. ხალხი ცოტა დაესწრო''.

გეგუთი: ჩვენი სოფელი დიდი სოფელია. ექვსას კომლამდე იქნება მცხოვრებელი. ქუთაისამდე შვიდი ვერსია, მაგრამ სწავლის ხალისი სულ არა აქვს ხალხს. არც არავინ ჰზრუნავს, რომ სწავლის სურვილი აღუძრას და სასწავლებელი დაუარსოს გლეხ-კაცობას.

ზუგდიდი: 24 მარტს შესდგა აქაურ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება. ანგარიში წარსულის წლისა დამტკიცდა და ბანკის მმართველთ მადლობა გამოუცხადეს. თან სთხოვეს კვლავ დარჩენილიყვნენ და შარშანდელის ჯამაგირით ემსახურნათ, მაგრამ მმართველნი არ დაჰყაბულდნენ და მეტი მოითხოვეს. ძველმა მმართველებმა მ. კეშელავამ, ნ. დავითაიამ და კასსირმა კარტოზიამ თავი დაანებეს ამის გამო სამსახურს. მათ მაგიერ არჩეულ იქმნენ: ა. დგებუაძე, ნ. ელიავა და კასსირად გ. ნარაკიძე.

ამინდი აქეთ კარგია. ავადმყოფობა თითქმის არა არის-რა; ვაჭრობა მოისუსტებს. სანოვაგე ბევრია. სიმინდი ფუთი სამ აბაზად ფასობს. ხეხილი გაიფურჩქნა და მწვანედ ღაღანებს.

◆ ოქუმი: ცვლილებისათვის ცვლილების მოყვარულ ზოგიერთა ადამიანის მეოხებით აქ აღიძრა საქმე—სად უნდა იყოს ოქუმის საბოქაულოს გამგეობის ცენტრი: აქვე, თუ ს. ღალში? ჩვენ ვერ გაგვიგია, ვის ანუ რად დასჭირდა ამ საქმის აღძვრა! ოქუმი უხსოვარ დროიდგან ყოფილა და დღემდისაც არის სამურზაყანოს შუაგული, როგორც ბუნებითად ისე ადმინისტრატულადაც. ხალხი მიჩვეული და კმაყოფილია აქაურობისა, აქაურობაც—ქალაქი ვაჭრებიან-მოქალაქებიანად მადლიერია ხალხისა. არც არავის საქმის კაცთაგანს აზრადაც არ მოჰსვლია ოქუმიდგან ადმინისტრაციის ბინადრობის სხვაგან სადმე, და მეტადრე ს. ღალში, გადატანა და თუ ვისმე ჯიბის გასასქელებლად დასჭირდა ამ საქმის აღძვრა, ეს სხვა საქმეა! სრული იმედი გვაქვს, თვით ადგილობრივი ადმინისტრაცია სამართლიანს მსჯავრს დასდებს ასეთის კაცების უადგილოსა და უცნაურს მისწრაფებაა.

ფიქრები....
მხოლოდ ფიქრები.

(დრო-გამოშვებითი წერილები)

II.

გაიპე გულო, რაკი ენა უნდა დადუმდეს!

—

სწორედ მონა ვარ მაწანწალა და ყურ-მოჭრილი!

—

ოჰ, რას იზამდა,
ჩემი ნაღველი და ტკივილი რომ გულს ჰქონოდა!

ჰამლეტი. I, 2 და II, 2.

სადიდმარხვო გოდება:

მუხლ-მოდრეკილი ვეგდე მთის ძირში. ხელები გაკრული მქონდა, ფეხებში—ბორკილი, ენა არ მეძროდა.

ტანზე ძველი დაფლეთილი პერანგი მეცვა, ფეხ-შიშველი ვიყავ და უქუდოთ. მციოდა, მშიოდა და მწყუროდა. გამხმარ, ძვალის და კანის მეტი არა შემრჩენოდა-რა; მთლად იარებით ვიყავი დაფარული, ვკანკალებდი და სისხლი და ბალღამი გადმოდიოდა ჩემის სხეულიდგან...

ჩემს წინ მაღლობზე უზარმაზარი ბოროტი სული იჯდა. ადამიანთა გვამებზე ედგა მას ტახტი და სისხლით იყო შეღებილი გვირგვინი მისი. ბორკილი, ხიშტი და საწამებელი იარაღი შეადგენდა მის სკიპტრას. ბნელს მოეცვა ყველაფერი გარშემო და ცივი ქარი მოჰქროდა იმის ადგილიდგან.

აქეთ-იქით გვერდში ორი დარაჯი მედგა, ერთი შავად გამოწყობილი, მეორე წითლად; მათრახები ეჭირათ ხელში და მაგრად გადმომკრავდნენ ხან თავში, ხან სხვაგან. საშინელს ტკივილს ვგრძნობდი, ძალა-უნებურად წამოვხტებოდი; მაგრამ ჩემი სახე მწუხარებას არ გამოხატავდა: მე ვიცინოდი კმაყოფილი და მადლობის ნიშნად თავს ვიხრიდი მრისხანე ბატონის წინაშე: მოწყალება მოიღეთ-მეთქი მონასა თქვენსა ზედა!..

ზევით, მაღალ მთაზე, მოსჩანდა ღმერთი. ყვავილები ჰქონდა ტახტად და ნათელი უბრწყინავდა მას თავს გვირგვინის მსგავსად. სინათლე მოეფინა გარშემო, სახე უცინოდა და სითბო და სიყვარული გადმოსდიოდა თვალთაგან.

მის წინაშე სამი ქალი იდგა. თავები ჩაეღუნათ, თითქოს რაღაცასი რცხვენოდათ. დაღონებულნი გადმომხედავდნენ ხანდახან და ცრემლებს ვხედავდი მათს თვალებში. ვინ იყვნენ, მე ვერ ვიცანი...

ჩემზე კარგად მოშორებით სხვაც ბევრი შებორკილი მონა იყო. იარებით ჰქონდათ მათ დაფარული სხეულები და სისხლი გადმოსდიოდათ ჩემსავით. საშინლად სცემდნენ მათაც, მაგრამ ისინი არ იცინოდნენ და თავს არ უკრავდნენ თავისს მტარვალებს მადლობის ნიშნად. შესაზარის ხმით ყვიროდნენ და შერისხავდნენ ბოროტ სულს.

მერე აღარ მესმოდა ყვირილის და მწუხარების ხმა... მე გავიგონე ტკბილი საგალობელი: ,,ადიდებდეთ მას ღმერთსა!'' შევხედე: მონები ფეხზე წამოდგნენ; მათ უფრო სცემდნენ და ახოცავდნენ, მაგრამ მაინც მიდიოდნენ იქით, სადაც ღმერთი იჯდა. ღვთაებრივი სხივი უნათებდა მათ გზას; ბორკილები მათი იმსხვრევოდა და იარები იკურნებოდა...

მე ისევ მუხლებზე ვიდექ! უმოწყალოდ მცემდნენ და მაწამებდნენ, მაგრამ ხმას არ ვიღებდი. მეტს ვიცინოდი, მეტს მადლობას ვუცხადებდი!..

მე არავითარი სურვილი არა მქონდა; ტკივილსაც არა ვგრძნობდი. მკვდარი ვიყავ და უსულო!..

—

წამკითხველნო, შენდობა უთხარით აქ განსვენებულსა მონასა.

სიტყვა.

წერილი აფხაზეთიდგან.

აჭანდარა.—ეკკლესია.—სკოლა.—ქრისტიანობის ნაშთნი.—„დიუდურუბში'.—ჩიჩბების გვარი.—სტუმართ-მოყვარეობა.—საშობელი.—ცოლის შერთვა.—ახალი წელიწადი და აღდგომა.

აჭანდარის სოფელი ეკუთვნის გუდაუთის დაბას, რომელსაც მოშორებულია 15 ვერსზედ, მდებარეობს მთის ძირად და მიწა საკმაოდ ნაყოფიერი და მოსავლიანი აქვს.

სოფლის ეკკლესია სამწუხარო მდგომარეობაშია: შენობა ხისაა, ძველთა-ძველი; სახურავი დიდი ხანია, რაც განხევრებულია და ამიტომ საკმარისია ერთის დღის წვიმა, რომ ეკკლესიაში ტბა დადგეს. შინაგანი მოწყობილობა მეტის-მეტად ღარიბია, ეკკლესიას არა აქვს აღსავლის და ჩრდილოეთ-სამხრეთის კარები. ადგილობრივმა მღვდელმა ბევრი იზრუნა ღარიბ ეკკლესიის შემწეობის აღმოსაჩენად და მისდა გასაუმჯობესებლად, მაგრამ მისი თხოვნა ჯერ არავის შეუსმენია.

ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც აგერ ექვსი წელიწადია, რაც გახსნილია, დიდი ხნის უნაყოფობისა და უსარგებლობის შემდეგ ცოტა არ იყოს გამოფხიზლდა. აქაურის მღვდლის მეცადინეობით ეხლა აჭანდარაში იხსნება ერთ-კლასიანი საქალებო სკოლაც.

აჭანდარის სოფელი შესდგება სულ 250 კომლისაგან, მათ შორის მხოლოდ 15 კომლი აღიარებს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას, დანარჩენი 235-კი მაჰმადიანები არიან, რომელთაც, თუმცა რამდენიმე წლის წინად მიუღიათ ქრისტიანობა, მაგრამ შემდეგ მაინც გამაჰმადიანებულან და დღეს ქრისტიანობას სიძულვილის თვალით უყურებენ.

თუმცა უმრავლესობა აფხაზებისა აღიარებს მაჰმადის სარწმუნოებას, მაგრამ ძველი ქრისტიანობის ჩვეულებანი დღემდისაც წმინდად შეუნახავს. ძველის ეკკლესიის ნანგრევებსა და ძეგლებს აფხაზები შიშით და ძრწოლით თაყვანს სცემენ. ყველა ეკკლესიების ნანგრევებსა და ძველ ძეგლებზედ უფრო უპირატესობას აძლევენ აფხაზები, «დიუდურუბშის ძეგლს», რომელსაც კრძალვით თაყვანსა სცემენ, მსხვერპლს სწირავენ და ემსახურებიან. ამისათვის არ იქნება ურიგო, ორიოდე სიტყვა ვსთქვათ «დიუდურუბშის ძეგლზედ».

აჭანდარა, როგორც ზევით ვსთქვით, არის მთის ძირას, და სწორედ ამ მთას ჰქვიან „დიუდურუბში“. აფხაზების ზეპირ-გადმოცემით „დიუდურუბშის“ გორაზედ რამდენისამე ასი წლის წინად იყო აშენებული ეკკლესია. მაგრამ მას შემდეგ, რაც ის დაინგრა, მისი ნანგრევები ძეგლად დარჩენილა, რომელსაც აფხაზები ეხლაც თაყვანს სცემენ. თვით ის ადგილი, სადაც არის ნანგრევი ძველის ეკკლესიისა, აფხაზებს წმიდა ადგილად მიაჩნიათ, და არც ერთი აფხაზი იქ ასვლას არ გაბედავს. ამისათვის მსხვერპლის შეწირვაც სრულდება მთის ძირში, სადაც სდგას ვება მუხა და მის ძირში დევს დიდი ქვა, რომელზედაც არის გამოსახული ღვთის მშობლის სახე. ამ ქვაზედ აფხაზები იდებენ ფიცს და სწირავენ მსხვერპლს. ფიცის მიმღები აფხაზი ვალდებულია დასდოს ქვაზედ ერთი მანეთი ფულად, ან და მანეთის საღირი ნივთი, რომელიც სამუდამოდ იქ რჩება და ვერავინ ვერ გაბედავს იმ ნივთებისა ან ფულის წაღებას. ქვაზედ არის მრავალი სხვა-და-სხვა ძველებური ნივთი და მათ შორის „ლახვარი“ და ორი პატარა ხატი, ერთი ღვთის მშობლისა და მეორე წმ. ნიკოლოოზისა. იმ ადგილს, სადაც ძველის ეკკლესიის ნანგრევებია, ჰქვიან აფხაზურად „ანიბს ნიხო დიუდურუბშ,“ რაიცა ქართულად ნიშნავს „აფხაზეთის ძლიერი ხატი დიუდურუბში.“

მსხვერპლის შეწირვა ხსენებულ მთის ძირში ხდება ძალიან ხშირად. მსხვერპლის შემწირველნი პირველად უნდა გამოეცხადონ აჭანდარის მცხოვრებთ გვარად "ჩიჩბებს", რომელთაც ძველის დროიდგანვე შერჩენიათ თვალ-ყურის ჭერა ძეგლისა და მის მსხვერპლის შემწირველებზედ ანუ, უკეთ ვსთქვათ, მეხატურობა, რომელსაც აფხაზები ეძახიან „ანიხრცვა“. თუ ჩიჩბებმა მსხვერპლის შემწირველს რამე მიზეზის გამო ნება არ მისცეს, ის ვერ გაბედავს მათდა ნება დაურთველად მსხვერპლის შეწირვას, არამედ აძლევს ჩიჩბებს ორწილ სასყიდელს, რომელსაც ყველა მსხვერპლის შემწირველისაგან იღებენ და რითაც დიდი სარგებლობა აქვთ. ბევრი აფხაზი აღთქმისამებრ ვალდებულია ყოველ წელს სწიროს ხსენებულ ძეგლს მსხვერპლი. არ შეიძლება ისეთი აფხაზი, თუ გინდ ნასწავლი და განათლებულიც იყოს,—რაც ჯერ-ჯერობით ძალიან ძვირია,— რომ ,,დიუდურუბში“ს ძეგლს არ ემორჩილებოდეს და თაყვანს არ სცემდეს.

ქრისტიანობის ნაშთების გარდა, ძველთა ძველი ზნე-ჩვეულებანი დღემდისაც უნაკლულოდ დარჩენილა აფხაზებში. სტუმართ-მოყვარეობა ისე გავრცელებულია აფხაზებში, რომ სტუმარი ყოველ დროს სასურველ და სამღვთო კაცად მიაჩნიათ. ჩვეულებისამებრ სტუმარი არც-კი ეკითხება მასპინძელს, იღებენ სახლში თუ არა. თუ მასპინძელი შინ არ დაუხვდა, მოხდის ცხენს უნაგირსა და გაუშვებს ბალახზედ. ეს იმასა ნიშნავს, რომ სტუმრად მოსულა და მაშინ ოჯახის ქალები გაუძღვებიან და მოასვენებენ.

აფხაზის ქოხი პირველ შეხედვით წარმოადგენს პატარა, წმინდა დარბაზს, რომელსაც არც ჭერი აქვს და არც იატაკი, მაგრამ მტვერის ასაშორებლად ქოხს დღეში ოთხ-ხუთ გზის წყლითა რწყავენ. ძვირია ისეთი აფხაზის ოჯახი, რომ შინაურ საწმინდეზედ არ სცდილობდეს, რაც უნდა ღარიბიც იყოს. ქოხის ერთს კუთხეში აწყობენ ქვეშსაგებს, რომელიც თავის სიმრავლის გამო პატარა გორაკსა ჰგავს. ქვეშსაგები მზადდება განსაკუთრებით ოჯახის ქალებისაგან, დიდის სისუფთავითა. ზამთარში, სიცივის ასაშორებლად, ქოხს გარს ახვევენ გვიმრას.

სტუმარი არ თხოულობს მასპინძლისაგან დიდს პატივისცემას. საკმარისია მაწონი, ყველი, ღომი და ღვინო, ან ნაშთი ძველის ხორცისა, რომ სტუმარი დარჩეს კმაყოფილი. მაგრამ, თუ ეწვია ჩერქეზი, მეგრელი ან ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მაშინ აფხაზი არას დაზოგავს, რომ სტუმარს კარგად გაუმასპინძლდეს და სირცხვილი არა ნახოს.

სტუმართ დაუდგმენ რგვალ სტოლს და, სანამ შემოუსხდებოდნენ, დაიწყებენ თავაზობას, თუ ვინ დაიბანოს პირველად ხელი და ვინ ან სად დაჯდეს სხვებზედ უწინ. ეს თავაზობა მანამ გრძელდება, სანამ ერთი მათგანი, უფროსი წლოვანობითა, ან გვარიშვილობით არ დაიბანს ხელს და არ ამოირჩევს რომელსამე ალაგს; ამის შემდეგ ყველანი თავაზიანად, რიგზე დაიბანებენ ხელს, შემოუსხდებიან სტოლს და აუჩქარებლად მიჰყოფენ ხელს პურის ჭამას. ოჯახის ქალები და მეზობლების გოგოები და ემაწვილები-კი დგანან ფეხზედ და გულ-მოდგინედ ემსახურებიან სტუმრებს.

პურის ჭამას რომ გაათავებენ, აალაგებენ სტოლს, და დააბანინებენ ხელს სტუმართ და მასპინძლებსაც იმავე ჩვეულებრივის თავაზიანობით. სტუმა-

---

ნამდვილი ისტორია ასეთია, ხოლო ბ-ნი ლინდა მაინც თავისას იტყვის, სურსათი არა ჰქონდა ტოტლებენსა და იმისათვის უკან დაბრუნდაო.

ნახევარი ჯარი, მთელი ბარგი-ბარხანა ჯარისა (ОБОЗЪ) და ექვსი ზარბაზანი ტოტლებენმა სადგერს დასტოვა. აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა აწყურიდგან ტოტლებენის დაბრუნებასაო, ბრძანებს ბ-ნი ლინდა. ამ გამობრუნებას იმიტომ უცქერიან ცუდის თვალით, რომ მეორე დღეს ერეკლემ ასპინძასთან გაიმარჯვაო. სჩანს, ერეკლეს რომ არ გაემარჯვენა, ტოტლებენის დაბრუნება სანაქებო საქმედ უნდა ჩაგვეთვალა.

1783 წ. 24 ივლისს ქ. გეორგიევსკში ხელშეკრულობა დაიდო რუსეთსა და საქართველოს შორის. ხელშეკრულობის ანუ ტრაქტატის ძალით, სხვათა შორის, საქართველოში რუსის ჯარი უნდა ყოფილიყო. მართლაც 3 ნოემბერს 1783 წ. ქ. ტფილისს შემოვიდა რუსის ორი ბატალიონი პოლკოვნიკ ბურნაშოვის უფროსობით [56].

1787 წ. ზაფხულს ერეკლე და ბურნაშოვი განჯისაკენ წავიდნენ საქართველოს მტერთა ასალაგმავად. საქმე მშვენივრად მიდიოდა და მტერი მარცხდებოდა, როდესაც-კი ჰბედავდა რუს-ქართველების გამკლავებას. საქმე ჯერ დამთავრებული არ იყო და უცბად ბურნაშოვს ბრძანება მოუვიდა—საქართველოს თავი დაანებე და ლინიაზე (ჩრდილოეთი კავკასია) დაბრუნდიო. ერეკლეს პირ-კატა ეცა, როგორც ასპინძასთან, ბურნაშოვს ხვეწნა დაუწყო, რა დროს წასვლაა, საქმე დავამთავროთ და, თუ წასვლა აუცილებელია, მერე წაბრძანდითო. თხოვნამ ვერ გასჭრა, ბრძანება მომივიდა და ლინიაზედ უნდა დავბრუნდეო და კიდეც დაბრუნდა. ხელ-მეორედ ერეკლე დარჩა მარტოდ-მარტო, მოკავშირესაგან ღვთის ანაბარად დატოვებული [57].

მიზეზი მოულოდნელად ჯარის დაბრუნებისა, სხვათა შორის, ის იყო, რომ პეტერბურგში ასე გადაეწყვიტათ: მეორე ომის დროს რუსეთისა ოსმალეთთან მეფე ერეკლე ადვილად შეიძლებს განაახლოს ძველნი კავშირნი, რომელიც დაირღვა მარტო იმის გამო, რომ საქართველოში რუსის ჯარი ჩადგაო [58]. აზრი ამ ბუნდოვანის ფრაზისა ისაა, რომ რუსის ჯარმა სიკეთის მაგიერ უბედურება მიაყენა ერეკლესაო. ეს აზრი უფრო მკაფიოდ არის განმარტებული სახელმწიფო საბჭოს მიერ, ოდეს საქართველოს შეერთებაზე ჰქონდა ბჭობა. ერთი სიტყვით, პეტერბურგში იმ აზრისანი ყოფილან, რომ რაკი ჩვენ ჩამოვეცლებით ერეკლეს, ადვილად დაუმეგობრდება ოსმალეთსა, რომელთანაც წინადაც კავშირი ჰქონდა და რომელიც ჩვენის გულისათვის გადაეკიდა საქართველოსაო. ნამდვილი ისტორია ასეთია, ხოლო ლინდას ისტორია სულ სხვანაირია, მთლად გადაბრუნებული. „კარის-კაცთა ხრიკების წყალობით, ბრძანებს იგი, ერეკლე დიდად შეეცადა, რომ ტფილისში დაბანაკებული ბატალიონები რუსეთში დაბრუნებულიყვნენო“ [59]. სამწუხაროდ, ტოტლებენის ვექილი წყაროს არ გვიჩვენებს, თუ საიდგან შეიძინა ეს ცნობა.

1795 წ. ყიზილბაშთა საჭურისმა აღა-მაჰმად-ხანმა ულმობელად შემუსრა ტფილისი და ნაცარ-ტუტად აქცია საქართველოს სატახტო ქალაქი. ტფილისის აოხრების მიზეზი თვით ერეკლე იყოვო, გვიამბობს კ. პ. ლინდა, რადგან რუსეთმა ჯარი აღარ მოაშველაო. ლინდას ფიქრით, რუსეთი არც მოაშველებდა ჯარსა, რადგან თვით ერეკლე თხოულობდა რუსის ბატალიონების გაყვანას ტფილისიდგან [60].

აღა-მაჰმად-ხანი და ოსმალეთი იმისათვის გადაეკიდნენ ერეკლეს, რომ რუსები შემოუშვა საქართველოში. ოსმალეთიც და საყიზილბაშოც კარგადა ჰგრძნობდა, რომ რუსეთის მეზობლობა იმათ ხეირს არ დააყრიდა და ორთავენი ამის გამო დიდად გამწყრალნი და გაგულისებულნი სულ მუქარას უთვლიდნენ, გაგაქრობთ, თუ რუსები იქვე არ გაისტუმრე, საიდგანაც მოიყვანეო. მაჰმად-ხანის ასეთი მუქარა კარგად იცოდა ერეკლემ და დროზედ ატყობინებდა, როგორც ლინდას უფროსს, აგრეთვე პეტერბურგში. თხოვნა თხოვნაზე იგზავნებოდა რუსეთს, ტრაქტატის ძალით, ჯარი გამოგვიგზავნეთო. ეკატირინემ ტრაქტატს აღარ მიჰხედა და გენერალ გუდოვიჩს რესკრიპტით შეატყობინა (1792 წ. 8 მაისი), „საკეთილოდ არ მიგვაჩნია ამ ჟამად ჯარის გაგზავნაო“. რუსულად ასეა ნათქვამი დედანში: „Нынѣ отправлять войска въ Грузію за благо не пріемлется“ [61]. მიუხედავად ასეთის გადაჭრილის უარისა, ერეკლემ ხელ-მეორედ გაჰგზავნა პეტერბურგს წინად ელჩად ნამყოფი რუსეთში თავადი გარსევან ჭავჭავაძე და დაავალა გაერიგებინა როგორმე ჯარის გამოგზავნა ტრაქტატის ძალით. ეს იყო 1794 წ.

ფრიად საყურადღებოა იმ დროინდელი წერილები მეფე ერეკლესი, დედოფალ დარეჯანისა და გარსევან ჭავჭავაძისა. შიშის ზარი მოისმის დარეჯანის წერილში. აი, რასა სწერდა დარეჯანი ეკატერინე მეორეს: „დამჭირნეობა ესოდენთა ქრისტიანეთა მაიძულებს მე ვედრებად უდიდებულესობისა თქვენისადმი, რათამცა აღთქმისაებრ ყოვლად უმოწყალესისა ტრახტატისა ინებოთ შეწევნათ ჩვენი აღა-მაჰმად-ხანსა ზედა... ცრემლით გვევედრები, შეიწყალენ ესოდენნი ქრისტიანენი...“ ტრაქტატის ძალითაო, მოახსენებს ელჩი ჭავჭავაძე გარეშე საქმეთა კოლლეგიას, ორი ბატალიონი უნდა იყოს ტფილისში. ოსმალეთმა ომი რომ გამოუცხადა რუსეთს, ვსასოებდით, რომ ამ ბატალიონებს სხვა ჯარიც მოემატებოდა. ამის მაგიერ იქ მყოფი მინისტრი და ბატალიონებიც წამოვიდნენ თვით საჭირო დროს, და დავრჩით ჩვენ მარტო ჩვენის მტრების წინაშე“. ივნისში 1795 წ. მეორე ელჩი, თ. გიორგი ივანეს-ძე ავალიშვილი, ბაზიერთ-უხუცესი, გაჰგზავნა ერეკლემ, მაგრამ ჯარის გამოგზავნა დროზედ არ ინებეს. დედოფალმა ეკატირინემ ჯარის გამოგზავნა, სულ ორის ბატალიონისა არტილერიისა, და თუ საჭირო იქმნებოდა, კიდევ ორის ბატალიონისა, ინება მხოლოდ 4 სექტემბერს 1795 წ. ეს ბრძანება ლინიის უფროსმა მიიღო პირველ ოქტომბერს. ამ დროს ტფილისის ნატამალიც აღარ იყო. რუსის ორი ბატალიონი ექვსის ზარბაზნით და 32 ყაზახით ტფილისს მოვიდა 1795 წ. დეკემბრის პირველ რიცხვებში. ტფილისი-კი აღა-მაჰმად-ხანმა აოხრა 12 სექტემბერს [62].

1783 წ. ტრაქტატი შეიკრა, რომლის ძალითაც რუსეთი მოვალე იყო საქართველოში ჯარი ჰყოლოდა. 1787 წ. რუსეთმა თავისი ბატალიონები უკან გაიყვანა ერეკლეს უნებურად. მართალი რომ იყოს ბ-ნი ლინდა, ვითომ ჯარები დააბრუნეს უკან ერეკლეს ძალდატანებით („настоялъ“), როგორ-ღა გაჰბედავდნენ ერეკლე, ჭავჭავაძე, დარეჯანი და

бамъ. Ахцурскій гарнизонъ, замѣтивъ неурядицу среди непріятелей, сдѣлалъ вылазку и потѣснилъ передовыхъ грузинъ, но Ираклій возстановилъ порядокъ и вогналъ Турокъ обратно въ крѣпость.“

[56] იხ. Матеріалы. П. Г. Буткова, т. III, გვ. 172, 177.

[57] იხ. Матеріалы... Буткова, т. II, გვ. 195, 277; т. III, გვ. 206. აგრეთვე Присоед. Грузіи къ Россіи, З. Авалова, стр. 145—146.

ბურნაშოვს უბრძანეს უსათუოდ მალე დაბრუნდი რუსეთის საზღვარზეო. ერეკლემ სთხოვა ლინიის უფროსს პოტიომკინს—გაზაფხულამდე დასტოვე ბურნაშოვიო, მაგრამ პოტიომკინმა არ იყაბულა თხოვნა. ბურნაშოვი 26 ოქტომბერს 1787 წ. უკვე კავკავს იყო. Матеріалы, т. III, გვ. 208.

[58] იხილე ბუტკოვის „Матеріалы“... т. II გვ. 196. З. Авалова, ,,Присоединеніе''... გვ. 146—147. ,,მფარველობამ, რომელსაც რუსეთი უწევდა საქართველოს 1783 წლიდგან, ნათქვამი იყო სახელმწიფო საბჭოში, აუარებელი უბედურობა მიაყენა ამ ტანჯულ ქვეყანას (საქართველოს) და სრულიად დააუძლურაო''. რუსულად: „Протекція, какую съ 1783 г. давала Россія Грузіи, вовлекла сію несчастную землю въ бездну золъ, которыми она приведена въ совершенное изнеможеніе.“

[59] იხ. «В. Сб.» № 9—1901 г. გვ. 14. რუსულად: „...Благодаря козням придворныхъ Ираклій настоялъ, чтобы русскіе баталіоны, стоявшіе въ Тифлисѣ, были выведены въ Россію.''

[60] ib. გვ. 14.

[61] იხ. „Матеріалы“... Буткова, т. II, გვ. 334.

[62] იხ. Грамоты.. т. II, გვ. 117, 118 და 119; Присоединеніе Грузіи къ Россіи, გვ. 155—159; Матеріалы... т. II. გვ. 343—344; т. III. გვ. 259—260.

რი კიდევ იბასხებს ცოტას ხანს და შემდეგ ემზადება წასასვლელად. წასვლის დროს მიუყვანებენ ცხენს, სტუმარი ემშვიდობება პირველად დიასახლისს, მერე იქ შემოკრებილს ქალებს და ბოლოს კაცებს და შეჯდება ცხენზედ. ყველანი შველიან ცხენზედ შეჯდომას მით, რომ უზანგს დაუწევენ. თუმცა სტუმარი არა ერთხელ სთხოვს ნუ სწუხართო, მაგრამ ცალი თვალი მაინც უზანგისკენ უჭირავს, აბა, ვინ დამიჭერს და ვინ არა უზანგსაო. თუ არავინ დაუწია უზანგი, სტუმარი ამას მასპინძლისაგან შეურაცხყოფად მიიჩნევს.

ცხენზედ რომ შეჯდება სტუმარი, ერთს კიდევ გამოემშვიდობება ყველას საზოგადოდ და წავა. წასვლის დროს სტუმარი ასკუპებს თავისს ცხენს, შემოჰკრავს ტკაცა-ტკუცით მათრახს გვერდებზედ, —რაიცა ნიშნავს სტუმრის კმაყოფილებას.

როცა აფხაზს შეეძინება შვილი,—ვაჟი ან ქალი,—ის სამი-ოთხი დღე არ მიდის თავისს სახლში, არამედ იმყოფება რომელსამე მახლობელ მეზობლისას. მერე სამი-ოთხის დღის შემდეგ შინ რომ დაბრუნდება, იკრიბებიან მეზობლის ქალები და კაცები და იმართება მასპინძლობა: თუ ახალშეძენილი ვაჟია, მაშინ მასპინძლობა რჩებათ ქალებს, ხოლო თუ ახალ-დაბადებული ქალია, მაშინ-კი კაცები უმასპინძლდებიან და ემსახურებიან ქალებს. ორივე მხარესი ერთად მასპინძლობა და პურის ჭამა-კი არ შეიძლება ამ დღეს.

აფხაზი ცოლის შერთვას რომ დააპირებს, პირველად ჰგზავნის ერთს ვისმე სანდო კაცს მოსალაპარაკებლად საცოლოს მამასთან. თუ საქმე გადაწყდა, დანიშვნენ ერთ დღეს, სასიძოსგან სასძლოს დასანიშნავად. დანიშნულ დღეს საცოლოს მშობლები მართვენ მასპინძლობას, ჰპატიჟებენ მახლობელ ნათესავებს და ელიან სასიძოს მხრივ სტუმრებს. სასიძო ჰგზავნის თავის საცოლოს სახლში ამორჩეულ კაცებს, მაყრებს, რომელთაც თან ატანს, რამოდენიმე ფულს და ცხენებს (ერთს, ორს, სამს ან ოთხს,—შეძლებისა და გვარად), მაგრამ თითონ-კი არ მიდის. სასიძოს მაყრებს ეგებებიან და ღებულებენ სიხარულით, ჩამოართმევენ საჩუქრებს და ამის შემდეგ სასძლო დანიშნულად ითვლება, თუმცა არც-კი იმყოფება იმ დროს სახლში, არამედ დამალულია, რომელისამე მეზობლისას.

დანიშვნის შემდეგ, ორივე მხრის თანხმობით ინიშნება დრო, როდესაც სასიძოს შეუძლიან სასძლო წაიყვანოს. სასძლოს მშობლები ამ დროს უფრო კარგ მასპინძლობას ჰმართავენ, ჰპატიჟებენ ყველა ნაცნობებს და მეგობრებს და მოელიან სასიძოს მაყრებს, მაგრამ სასძლოს მშობლები მაყრებს-კი არ უმასპინძლდებიან, არამედ თავიანთ მოწვეულ სტუმრებს. პურის ჭამას რომ მორჩებიან და სტუმრები სუფრიდგან აიშლებიან, სასძლოს მშობლებს გამოაქვთ საჩუქრები, რომელიც სასძლოს მეგობრებიდგან არის მოტანილი. ამ მზითვებს ჩააბარებენ ერთს ვისმე სანდო კაცს, რომელიც ყველა ნივთის მიღებაზედ ხმა-მაღლად ასახელებს ნივთის მომტანსა და გადასცემს მეურმეს, სასიძოსაგან წინათვე გამოგზავნილს. მეურმე ნივთებს ჩაიბარებს თუ არა, მაშინვე გაემგზავრება.

მეურმის შემდეგ მიდიან სასიძოს მაყრებიც, რომელთაც წასვლის დროს დიდი გაჭირვება და ვაგლახი ადგებათ. მიმავალ მაყრებს, მასპინძლის სახლს რომ გასცილდებიან, დახვდებიან მეზობელი უმაწვილი კაცები. დაიჭერენ მაყრებს, გადმოაბრძანებენ ძალა-უნებურად ცხენიდგან, დაჰსვრიან სამ გზის დაფში, შესმენ ცხენზედ და გაუშვებენ. ყველა მაყრებს ასე ემართება და ძვირად თუ ასცდება ვისმე ასეთი განსაცდელი.

გალაფიანებული მაყრები გროვდებიან ერთ ადგილას, სადაც ცოტა ხანს შემდეგ სასძლოს მაყრებიც უერთდებიან და ერთად ელოდებიან სასძლოს. მეზობლის ქალებს გამოჰყავთ სასძლო, დაბურული თეთრის ლეჩაქითა და პირახვეული, ქალები რიგ-რიგად ულოცვენ გზას სასძლოს, ემშვიდობებიან და ჩააბარებენ მაყრებს, რომელთაც მიჰყავთ სასიძოს სახლში.

სასიძოსაც, რა თქმა უნდა, აქვს ამ დროისთვის გამართული მასპინძლობა და სტუმრები ჰყავს მოპატიჟებული, მაგრამ მაყრები სასძლოთი რო მოუახლოვდებიან სასიძოს სახლს, სასიძო მაშინვე იმალება მეზობლისას, საიდგანაც მეორე დღემდის არა ბრუნდება. სასძლოს შეიყვანენ სახლში და მიუჩენენ ქოხის ერთ კუთხეს, საიდგანაც ის მაყრების წასვლამდის ფეხს არ იცვლის; მას ახვევიან მეზობლის ქალები; სტუმრები რომელისამე წინათვე ამორჩეულის პირის წინამძღოლობით თითო-თითოდ შედიან სასძლოს სანახავად. ყოველ სტუმრის შემოსვლაზედ ახდიან სასძლოს ლეჩაქს და მნახველი თავის შეძლების და-გვარად პირის სანახავს (ფულს) სტოვებს.

სასძლოს რომ ყველანი ნახვენ, მოუსხდებიან ტაბლას. პურის ჭამის დროს ცეკვაობენ, მღერიან და სმენ. გათენებისას მაყრები მიდიან შინა და ახლა-კი სასძლოს მაყრებს აქ იგივე დღე ადგებათ, რაც სასძლოს სახლში დაადგათ სასიძოს მაყრებს. მაყრები და სტუმრებიც, გარდა მახლობელ მეზობლისა, რომ დაიშლებიან, მოდის სასიძო, რომელიც, როგორც ზევით ვსთქვით, მეზობლისას იმალებოდა.

მთელის წლის განმავლობაში აფხაზები, როგორც მაჰმადიანები, ისე ქრისტიანები, დღესასწაულობენ მხოლოდ ახალ-წელიწადს და აღდგომას. ახალ-წლის წინა დღეს ამზადებენ საჭმელსა და სასმელს, დაჰკლავენ ძროხას ან თხას და იმდენ მამალს, რამდენიც ოჯახში მამრობითი სქესის სული არის. ახალ-წელიწადს ერთმანეთს ესტუმრებიან, აღდგომას-კი ეგებებიან წითელ კვერცხით და პასქით და დროს ცეკვითა და თამაშით ატარებენ.

ეს მცირე ქრისტიანობის ნაშთი ძლივს-და შერჩენიათ აფხაზებს.

ანნა ნოდია.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲚᲐᲒᲘᲠᲘᲓᲒᲐᲜ.

მგონია, არც ერთი სოფელი თერგის ოლქში არ უნდა იყოს ისე მივიწყებული როგორც ალაგირი. გზები აქეთ მეტად უვარგისია. ოსების სამხედრო გზა-ტკეცილზედ ისეთი ლაფები დგება, რომ ხან-და-ხან გავლა ზედ შეუძლებელი ხდება. ქუჩებშიაც ასეთივე საშინელი ტალახია; თუ შეტოპეთ შიგ, თავი დაზღვეული უნდა გქონდესთ, თორემ, ვაი, თქვენს მტერს, სამი უღელი ხარ-კამეჩი რომ შეაბათ, ვეღარ ამოგიყვანენ. ამ უზომო ტალახებით მეტად გაჭირვებულია ქართული სკოლა, რომელიც სოფლის განაპირას არის. ხშირად დიდი ტალახების გამო მოწაფეები სკოლაში ვერ დადიან, რისთვისაც მასწავლებელი იძულებული ხდება რამდენისამე დღით შესწყვიტოს სწავლა. გზები ადვილად გაკეთდებოდა და ტალახებიც ამოშრებოდა, რომ ერთი პირი იყოს და პარტიობა ხელს არ უშლიდეს. აქ ეს უფრო მოსახერხებელია, ვიდრე სხვაგან, რადგანაც ისეთი ღარიბი აქ არვინ არის, რომ ერთი სამუშაო ცხენი, ან ერთი უღელი ხარი არ მოეპოვებოდეს; ზოგს-კი ოთხი უღელიცა ჰყავს. მხოლოდ საჭიროა რიგიანი მოთავე და ადმინისტრაციის დახმარება. ზოგიერთები ამბობენ მამასახლისმა რომ ძალა დაგვატანოს, ერთ კვირაში გავაკეთებდით გზებსაო, მაგრამ ეხლა რომ ერთმა და ორმა ვიმუშაოთ, სხვები მასხარად აგვიგდებენო. ამას წინად ერთმა აქაურმა მამასახლისმა 900 მანეთამდე საზოგადო ფული გაფლანგა, რის გამოც სამსახურიდანაც დაითხოვეს და ეს ფულებიც დაადევს გადასახადად, მაგრამ ამ ვალს მისი დედულ-მამულიც ვერ აუთავდება.

ამას წინად აქ სასოფლო კრებაზედ, სხვათა შორის, დაიწყეს ლაპარაკი სასოფლო ქსენონის დაარსების შესახებ, მაგრამ მოგეხსენებათ, ისეთ ადგილას, სადაც სხვა-და-სხვა უცხო ტომნი სცხოვრებენ, სხვა-და-სხვა აზრით გამსჭვალულნი, როგორც ალაგირში, საზოგადო საქმე ძალიან იშვიათად გაკეთდება. რამდენისამე ხნის თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს: ქსენონის მაგივრად ამ წელიწადში მოიწვიონ გამოცდილი ფერშალი, დაიქირაონ სახლი, იქვე უნდა იყოს ავადმყოფების მისაღები ოთახი, სასინჯი იარაღები და პატარა აფთიაქი მცხოვრებთათვის უფასოდ, რისთვისაც ამ საქმის მოსაწყობად საზოგადოებამ გამოიღო 900 მანეთამდე. ეს პირველი ნაბიჯია აქ და მომავალში იმედს არ ვკარგავთ ქსენონის დაარსებისას.

ალაგირში და საზოგადოდ თერგის ოლქში ძალიან სუსტად არის გავრცელებული აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება. ხშირად შეხვდებით ისეთს კაცს, რომ, თუ გაუგონია, თორემ თავისს დღეში არ უნახავს აბრეშუმის ჭია. ალაგირში თუმცა ძველად ბევრი თუთის ხეები ყოფილა, მაგრამ, რადგანაც მოხმარება არ სცოდნიათ, სრულიად გადუქრიათ და შეშად მოუხმარიათ. შარშან ზოგიერთებმა სცადეს ეს საქმე და მშვენივრადაც ივარგა. ამათ მიხედვით წელს სხვებმაც გამოიწერეს ტფილისიდგან იმდენიმე მისხალი აბრეშუმის თესლი. ამასთანავე მიჰყვეს ხელი აქა-იქ გადარჩენილ თუთის ხეების მოშენებას და ახალის დარგვას. ყველამ ვიცით, თუ რა სარგებლობა მოაქვს მეაბრეშუმეობას დასავლეთ საქართველოში, ამიტომ, სასურველია ამ საუკეთესო სასოფლო-მეურნეობის დარგმა აქაც, აქაურს ქართველებშიაც, გაიდგას ფეხი.

პავლე ლომთათიძე.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრების წარმომადგენელებს სხდომა ჰქონდათ იმის შესახებ, რომ ქალაქის თვითმმართველობაში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცესთ ბინის მოქირავეთ. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა შესაძლებლად დაინახა ბინებზე გადასახადის (**налогъ**) ქალაქებისათვის გადაცემა. საარჩევნო უფლება მიეცემა იმას, ვინც იხდის ბინაზე გადასახადს არა ნაკლებ 35 მან. (?) წელიწადში.

წარსულ დეკემბერში ვარშავაში თამაშობდა რუსული დასი და როდესაც არდგენდნენ სუვორინის პიესას ,,ტატიანა რეპინას'', ერთმა სტუდენტმა ზალიგმანმა მესამე მოქმედების დროს ხმა მაღლა დაიძახა შუა თეატრში: ,,ძირს სუვორინი!'' სასამართლომ სამის დღით დააჯარიმა ზალიგმანი.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. არასოდეს რეაქციის მომხრენი ისე არ ამხედრებულან დემოკრატიულ ნაწილის წინააღმდეგ, როგორც ამხედრდნენ საფრანგეთში ეხლა, არჩევანების წინ. ვინ იცის, კლერიკალნი, ნაციონალისტნი, მონარქისტნი და სხვა ვაჟბატონნი რას არ ამბობენ და არა სწერენ დღევანდელ სამინისტროს, რადიკალთა და სოციალისტთა შესახებ. ყველაფერსა სწამებენ იმათ: საფრანგეთის სახელის შერცხვენასაც, ღალატსაც და სახელმწიფოს გაკოტრება-გაღარიბებასაც. ნაციონალისტთა ლიგები ათი-ათასობით ავრცელებენ წიგნებსა და მოწოდებებს, ფანატიკოსობით აღსავსეს. ასევე მოქმედებს დემოკრატთა და სოციალისტთა წინააღმდეგ ახლად დაარსებული „ფრანგ ქალთა ლიგა“. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამ ლიგის წევრებად მხოლოდ არისტოკრატიის მანდილოსანნი არიან. აი, ეს ლიგა რას აცხადებს ამომრჩეველთა საყურადღებოდ: „დიდი განსაცდელი მოელის სამშობლოსა და თავისუფლებას! ჩვენი მოწინააღმდეგენი (მთავრობა და იმისი მომხრენი) სამუდამოდ უპირებენ დამხობას როგორც ერთს, ისე მეორეს. ჩვენს ლიგას აზრადა აქვს თავისის გავლენით, ფულით, მსხვერპლით, ერთი სიტყვით, ყველაფრით დაიცვას განსაცდელში მყოფი სამშობლო და თავისუფლება. ჩვენ ვთხოულობთ, რომ საფრანგეთი ფრანგებმავე განაგონ (ეს ვაჟბატონები და ქალბატონები კარგა ხანია ლუბეს, ვალდეკ-რუსსოს, მილერანს, ანდრეს ფრანგებად აღარა სთვლიან). მალე ჩვენი კაცი მოვა მანდა და ხელს გამოგიწვდით დიად საქმის განსახორციელებლად; დაეხმარეთ, უშველეთ, შემწეობა აღმოუჩინეთ არჩევანების დროს. გევედრებით კარგად მიიღოთ ჩვენი კანდიდატი... ნურაფერს დაზოგავთ, შესწირეთ ყველაფერი, რათა თქვენი ეკკლესიები და მღვდლები შეინარჩუნოთ. გეხვეწებით, ხარჯს ნუ დაერიდებით! თქვენი მცირეოდენი წვლილიც-კი დიდი დახმარება იქმნება სამშობლოსათვის. ამ მცირეოდენ გადასახადის წყალობით შეგრჩებათ მთელი თქვენი ქონება. იცოდეთ განსაცდელშია თქვენი სიცოცხლე, თქვენი ეკკლესიები, მღვდლები, სამშობლო!'' და კიდევ ვინ მოსთვლის, რას არა სწერენ ,,სამშობლოსათვის (უფრო-კი მღვდლებისათვის) თავდადებული'' მანდილოსანნი...

თუ სადამდე მივიდნენ რეაქციონერნი, სჩანს იმ საზიზღარ მოწოდებიდგან, რომელიც იეზუიტებმა თავიანთ გაზეთ ,,Bulleten de Voeu National''-ში დაბეჭდეს. მთლად ამ მოწოდების გადმოცემა შეუძლებლად მიგვაჩნია, იმდენად გულ-ასამღვრევია იგი. თავიანთ მოწოდებით იეზუიტებმა ახალგაზრდა ქალებს მიჰმართეს. აი, რასა სწერენ ბერები: «მივმართავთ ახალგაზრდა ქალებს. გაფიცებთ, ქალებო, ყველაფერს, არ დამარხოთ ის ძვირფასი, დაუშრეტელი საუნჯე, რომლის პატრონნიც თქვენა ხართ... დაფიქრდით, ქალებო, ერთ წუთს და ადვილად მიჰხვდებით, რომ ყველაფერი თქვენს ხელშია... მაშ, საქმეს შეუდექით! ისარგებლეთ იმ საუნჯით, რომელიც ღმერთმა გიწყალობათ. ვიცი, ყველანი ერთსა და იმავეს მეტყვით: ,,ვერ გავბედავთ მაგასაო!'' მაგრამ თუ არაფერს გააკეთებთ, ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებთ, ნუ შედრკებით, ქალებო, იერიში მიიტანეთ მოხუცებზედ! ხომ იცით, ისინი ადვილად ემორჩილებიან თქვენს მომხიბლაობას. ნუ გეშინიანთ მოხუცებისა, იმათ ახალ-გაზრდა ქალები ძალიან უყვართ. მოდით ჩვენთან, ჩვენ დაგეხმარებით დაბრკოლების დაძლევაში»...

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. გაზეთებმა ძალიან მოუხშირეს მაკედონიასა და ალბანიაზედ წერას. ამბობენ, მაკედონელთ გადასწყვიტეს ამ გაზაფხულზედ საერთო აჯანყება მოახდინონ. ამიტომ ადრიანოპოლისა, სალონიკისა, მონასტერისა და კოსსოვის გუბერნატორებს ბრძანება მიუვიდათ სასტიკი ზომები მიიღონ არეულობათა მოსასპობად. ნება აქვთ მათ თავის სურვილისამებრ მოიხმარონ ჟანდარმები და ჯარი. ამას გარდა მთავრობას გაუწვევია სათადარიგო ჯარი, რიცხვით 35 ათასი კაცი, რომელმაც მაკედონია და ადრიანოპოლის ოლქი უნდა დაიცვას. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ეს ამოდენა ჯარი მძიმე ტვირთად დააწვება ქრისტიან მცხოვრებთ, რადგანაც ჯარი წვრილ-წვრილ რაზმებად იქმნება სოფლებში ჩაყენებული. მარტო ქრისტიანები არ არიან უკმაყოფილონი. ბევრგან ჯარიც ურჩობას უწევს მთავრობას. ამისი მიზეზი ჯამაგირის მიუღებლობაა. ხშირად ჯარის-კაცნი მთელის თვეობით ვერ ღირსებიან ხოლმე დანიშნულ ფულს, სურსათს, ტანისამოსს და სხვას. ამ დღეებში სკოპიაში ამავე მიზეზით მთელს რაზმს წინააღმდეგობა გაუწევია და უფროსთა ბრძანება არ შეუსრულებია. ალბანიაში არეულობანი, როგორც გამოირკვა, ჯარმა გამოიწვია. უსურსათოდ დარჩენილი ჯარი სოფლებს მოედო და მშვიდობიან მცხოვრებთა ძარცვა-გლეჯას შეუდგა. ხშირად გამწარებული ჯარის-კაცნი ბავშვებსა და დედაკაცებსაც ჟლეტდნენ. მოხელეებს ვერაფერი გაუწყვიათ და მშვიდობიანობის აღდგენა ვერ მოუხერხებიათ. ამ ბოლოს დროს ჯარის კვალს მოთმინებიდგან გამოსულნი მცხოვრებნიც დაადგნენ: მათაც შეადგინეს პატარ-პატარა რაზმები ძარცვა-გლეჯისათვის.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. უკანასკნელ ხანებში ბევრს ლაპარაკობენ გაზეთები „თამბაქოს ომის“ შესახებ, რომელიც ასტყდა ამერიკის მეთამბაქოეთა ტრესტისა და ინგლისის სინდიკატის „**Imperial Tombacco Company**“-ს შორის. საყურადღებოა ამ „ომის“ წვრილმანი.

რომ მეტოქე უფრო ადვილად დასცეს,

შეაწუხებდნენ ეკატერინეს, თანხმათ ტრაქტატისა, მაშველი ჯარი გამოგზავნეთო. ლინდოს ნათქვამი მართალი რომ იყოს, მთხოვნელთ პირში ბურთს ჩასჩრიდნენ ამაყად ეტყოდნენ: ტრაქტატი უკვე დარღვეულია, რადგან თვით მეფე ერეკლემ მოითხოვა ჯარის გამოყვანა და რაღას ჩაგვცივებიხართო. რა-კი ესეთი პასუხი არ მისცეს მთხოვნელთ, სჩანს ტრაქტატი ძალაში ყოფილა და, თუმცა გვიან, მაინც თანხმად ტრაქტატისა, ორი ბატალიონი შემოვიდა საქართველოში 1795 წ. ზამთარს. ნათქვამიდგან ისიც დღესავით აშკარაა, რომ ლინდამ ტყუილ-უბრალოდ მოახვია მეფე ერეკლეს ტფილისის აოხრების მიზეზი.

ლინდოს წერილებში სხვა მრავალი უკუღმართი აზრიცაა დაბუდებული, მაგრამ ყველას აღნუსხვა შეუძლებელია 63). იმასა ვწუხვართ, რომ ქართველ მკითხველს საშუალება არა აქვს თვით დედანი წაიკითხოს და დასტკბეს ამ შესანიშნავის ისტორიის ნიმუშით. რომელ ქართველ მკითხველს მიუწვდება ხელი «სამხედრო კრებულზე»?!. გაზეთებს არა კითხულობენ ჩვენში და ,,სამხედრო კრებულის'' საკითხავად ვინ მოიცლის? კიდეც რომ მოიცალონ, სად იშოვნიან?.. ეგები ბ-ნმა ლინდამ მოწყალების თვალით გადმოგვხედოს და თვისი წერილები ცალკე წიგნად დაბეჭდოს. მაშინ-კი სწორედ გაგვაბედნიერებს. წიგნაკის ყიდვას ბევრი შესძლებს და დიდადაც დასტკბება მისის კითხვით!

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ რამდენიმე წვრილმანი შეცდომანიც. სხვა დროს არ გამოვეკიდებოდით, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთ შეცდომის აღნიშვნა, რადგან გვსურს ვაჩვენოთ მკითხველს—თუ რა გულ-დადებით შეუსწავლია ბ-ნ ლინდოს საქართველოს ისტორია.

იმერეთშიო, ბძანებს ბ-ნი ლინდა, თვითოეულ ციხეს თავისი გამგე ჰყავს, რომელსაც მოურავი ჰქვიანო. მოურავების უფროსს ეძახიან ციხის-თავს. ეს თანამდებობა უპირველესია იმერეთში და ეკუთვნოდა ჰავჰავაძიანთ გვარსაო 64). იმერეთი და ჰავჰავაძიანთ გვარი, ეს სადაური ამბავია?!...

სამხედრო დავლის შესახებ საქართველოს მეფე ვახტანგ გურგასლანის კანონებში რამდენიმე დადგენილებააო და ჩამოსთვლის კიდეც ამ დადგენილებათ 65). სად ვახტანგ გურგასლანი და სად ვახტანგ VI კანონმდებელი! ისტორია ასკინკილა ან ართურმა თუ ჰგონია ბ-ნს ლინდას!

ახალციხე ოსმალოთ მე-XIV საუკუნეში მახვილით დაიპყრესო. „(**Ахалцихъ былъ завоеванъ Турками въ XIV вѣкѣ**)“ 66). ცხადია, რომ აქ მოყვანილი ამბავი ლინდას უსესხნია ვეიდენბაუმის წიგნიდგან, სახელად „კავკასიის გზათა მაჩვენებელი“ „(**Путеводитель по кавказу**).“ თვით ბ-ნი ლინდა გვარწმუნებს, რომ ეს წიგნი წაკითხული მაქვსო 67). ე. გ. ვეიდენბაუმი-კი ახალციხის შესახებ ამას გვიამბობს: ,,ოდესმე ახალციხე უმთავრეს დედაქალაქად ითვლებოდა იმ საქართველოს ოლქისა, რომელსაც ეწოდებოდა სამცხე, ანუ ზემო-ქართლი 68). ეჭირა ამ ქვეყანას ჭოროხისა და მტკვრის სათავეთა ხეობანი. ტოპოგრაფიული მდებარეობა მაღალ-მთიანი ქედებით გარემოცულის ქვეყნისა ხელს უწყობდა მემკვიდრეობით მთავრების იმ სურვილს, რომ დამოუკიდებელნი გამხდარიყვნენ და სამეფო უფლებასა და ძალას არ დამორჩილებოდნენ. მე-XIV საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი სურვილი მთავართა კიდეც განხორციელდა და სარგის II (1306—1334) 69) შეიქმნა სამცხის დამოუკიდებელ მთავრად. სარგისმა მიიღო ოსმალური (**Турецкій**) სახელწოდება (**титулъ**) ათაბაგისა, რის გამოც ამ დროიდგან ქვეყანას საათაბაგო (სამფლობელო ათაბაგისა) ეწოდა. სამცხის დამოუკიდებლობამ დიდ ხანს არ გასტანა. ქვეყანა ოსმალეთის ხელმწიფება-უფლებას დაემორჩილა. თავდაპირველად ოსმალონი სჯერდებოდნენ მარტო ოდენ ხარკის აღებას და შინაურ მართვა-გამგეობაში არ ერეოდნენ, შემდეგკი (მე-XVII საუკუნის პირველ ნახევრიდგან) მოითხოვეს, რომ მემკვიდრეობით მთავრებს ისლამი მიეღოთ. მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მემკვიდრეობითის მთავრების გვარი სრულიად მოაშორეს მართვა-გამგეობას და გააძევეს. მათ მაგიერ თვისის სურვილისამებრ დაიწყეს ქვეყნის მმართველების განწესება, ათაბაგის სახელწოდება შესცვალეს ახალციხის ფაშად, რომელიც ემორჩილებოდა არზრუმის სარასკირს. ახალციხე შეიქმნა ოსმალეთისათვის იმ ადგილად, საიდანაც ისინი ავრცელებდნენ თვისს გავლენას დასავლეთ ამიერ-კავკასიაზე (ესე იგი იმერეთ-გურია-სამეგრელოზე). იგი გარდაიქცა აგრეთვე უმთავრეს ბაზრად, სადაც მოჰყავდათ და ჰყიდდნენ ლეკები ქრისტიან მონა-ტყვეებსა. ახალციხე განთქმული იყო სიმდიდრით და ხალხის სიმრავლით'' (იხ. **Путев.** გვ. 378—379).

სად ეს ამბავი და სად მოთხრობა ბ-ნის ლინდასი, ვითომც მე-XIV საუკუნეში ოსმალებმა ახალციხე მახვილით აიღესო. მეთოთხმეტე საუკუნეში „**завоеваніе**“-ს რა ადგილი აქვს? *) თუ ღმერთმა დღეგრძელობა მისცა ბ-ნს ლინდას და შემდეგაც ისტორიული ნაწერები ასე იკითხა, როგორც ვეიდენბაუმის წიგნი წაუკითხავს, იმედია ბევრ ამერიკას აღმოაჩენს თავის მკითხველის საბედნიეროდ.

მართალია, საათაბაგოს ოსმალეთის გავლენა არ აკლდა, ვიდრე მეXVIII საუკუნის მეორე ნახევარში სრულიად არ მოსპეს ათაბაგობა, მაგრამ გავლენა და მახვილით აღება განა ერთია?მეთვრამეტე საუკუნეში თვით საქართველოზე დიდი გავლენა ჰქონდათ ყიზილბაშებს და ოსმალებს. ამავე დროს რუსეთმა ისეთი გავლენა შეიძინა საქართველოზე, რომ წინად ამისთანა ძლიერი გავლენა არავისა ჰქონია და ეს გავლენა ხომ ყველამ იცის, რითიც გათავდა: საქართველოს რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებით, მაგრამ ვინ იტყვის, რომ რუსეთმა საქართველო მე-XVIII საუკუნის გასულს მახვილით აიღო, ანუ „**завоевала?**“ 70).

—

ლინდას ნაირ წერილებს კიდევ ბევრს უნდა მოველოდეთ, ვიდრე ჩვენნი ისტორიკოსნი სავსებით არ გამოამზევებენ ჩვენს დოკუმენტებს, კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ გაატარებენ და ხელში არ გვექნება ნამდვილი საბრძოლი იარაღი. უამისოდ ძნელია ბრძოლა იმისთანა ისტორიკოსებთან, როგორიცა ბრძანდება ბ-ნი ლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ტოტლებენის პირშაობისა რუსებმაც ბევრი სთქვეს, ლინდა მაინც თავისას არ იშლის, მაგრამ უფრო მომეტებულმა ისტორიულმა მასალამ, ვიდრე დღემდისინაა გამოქვეყნებული, არ შეიძლება ლინდასაც კბილი არ მოსჭრას. უცნაურია და სასაცილო ლინდას ახირება, ქართველებს არა დაეჯერებათ-რა, როცა ტოტლებენზე ლაპარაკობენო. ნეტა-კი ვიცოდეთ, თვით ბ-ნი ლინდა რა ტომისაა? გვარი როგორღაც მისს რუსობას არ ამხელს...

ა. ფრონელი.

---

63) იხ. „В. Сб“. № 9 1901 г. стр. 21, 22, 24; № 10—1901 г., 48, 53; 54, 55, 57, 63, 65 № 12 1901 г., 62, 75, 76, 77.

64) იხ. „В. Сб“. № 10—1901 г. გვ. 50;

65) ib. გვ. 50. სხოლიოში ლინდამ ახსნა სიტყვა გურგასლანი. გურგ-მგელიო, ასლანი-ლომიო. მეექვსე საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ მეფობდაო. სხოლიო გვაჩვენებს, რომ კორექტურის შეცდომას ადგილი არა აქვს.

66) ib. გვ. 54;

67) იხ. ,,Походъ''... № 9—1901 წ. გვ. 11.;

68) რუსულად: ,,Главный городъ коренной грузинской области.

69) ახალციხის უკანასკნელი ფაშა ისაყი ათაბაგიანთ გვარისა იყო. შვილი მისი უსუფ III ათაბაგობდა (1737—1744). უსუფას შემდეგ ცოტა ხანს ისევ ისაყფაშამ იათაბაგა. ვეიდენბაუმის მოთხრობა, რომ სარგის II დამოუკიდებულ ათაბაგად გახდაო, არ ეთანხმება მარი ბროსსეს ისტორიას. იხ. ,,მარი ბროსსეს'' საქართველოს ისტორია, ნაწილი II, გვ. 133.

*) საათაბაგოს კანონმდებელნი ბექა II და აღბუღა გადაიცვალნენ: პირველი 1391 წ. და მეორე 1451 წ. ბროსსეს ისტორიაში სწერია: «1364 წ. ყვარყვარეს მემკვიდრედ ბაგრატ მეხუთის ნებართვით შეიქმნა შვილი მისი ბექა II. იმის სიკვდილის შემდეგ მეფე გიორგი VII-მ გარდასცა ათაბაგობა იმის შვილს აღბუღას.» («ქ. ცხ». შვილი-შვილი) საქართველოს მეფენი თვისის ნებით ათაბაგებს აყენებენ, ათაბაგნი კიდევ ქვეყანას საკუთარ კანონებს აძლევენ. საიდგან-ღა სჩანს, რომ ოსმალებმა მახვილით დაიპყრეს ახალციხე მე-XIV საუკუნეში.

70) ზ. ავალიშვილის აზრით «ნებაყოფლობითი» შეერთება საქართველოსი რუსეთთან ფაქტებს არ ეთანხმებაო. დასავლეთ საქართველოს ნაწილნი-კი შეუერთდნენ რუსეთსაო ზოგი ნებაყოფლობით, ზოგი **manu militari**. იხ. მისი წიგნი „**Присоединеніе Грузіи къ Россіи**“. გვ. 244 და 275.

ყოველი ტრესტი მეცადინობს მეწვრილმანე-მეთამბაქოე მიიბიროს. ამ მიზნით ,,Imperial Tombacco C⁰''გამოაცხადა, რომ ყოველ-წლობით 500 ათას მანეთს გავუნაწილებთ იმ მეწვრილმანე-მეთამბაქოეთ, რომელნიც ხელ-წერილს მოგვცემენ, რომ მხოლოდ ჩვენის საქონლით ივაჭრებენ და ამერიკელ მეტოქეთა ნაწარმოებს ხელს აღარ ახლებენო. ინგლისში თითქმის 30—40 ათას თამბაქოს საწვრილმანო დუქანია, ასე რომ მათთვის ბევრი არაფერი სახარბიელოა ზემორე-მოყვანილი თანხა. მიუხედავად ამისა, სინდიკატის წინადადებამ მაინც დიდად გაიმარჯვა; ამისათვის ამერიკანელ ტრესტს, რომელსაც ნავთის მეფე როკფელლერი მფარველობს, მსწრაფლ გამოუცხადებია ბევრად უფრო ხელ-საყრელი პირობები: ოთხის წლის განმავლობაში მთელს ჩვენს თამბაქოზედ წლიურ მოგებას და 2 მილიონ მანეთს ჯილდოდ მივსცემთ მეწვრილმანე მეთამბაქოეთაო. ამასთანავე წინაალმდეგ ,,Imperial Company''-სა, არ ითხოვს მათგან, რომ მხოლოდ თამბაქოს ნაწარმოებით ივაჭრონ; მხოლოდ სხვებთან ერთად დააწყეთ და ჰყიდეთ ჩვენი ნაწარმოებიო. უკანასკნელ ცნობებით ,,Imperial Company'' ემზადება ომი თვით ამერიკაში გადაიტანოს და დიდ მზადებაშიდაც არის ეხლა.

წვრილი ამბები

სიონისტთა ცნობილმა მეთაურმა—თეოდორ ჰერცლმა, ,,ახალის გეტტო''-სა და ,,გეტჰენი''-ს ავტორმა, ეხლახან დაამთავრა ახალი პიესა. თუმცა ეს პიესა ჯერ არსად დაუდგამთ, მაგრამ გაზეთები უკვე გადმოგვცემენ იმის შინაარსს. ჰერცლს წაუკითხავს ის ვენაში, მწერალთა კლუბში ,,concordia''-ში. პიესას სახელად „სოლონი ლიდიაში“ ჰქვიან.

ლიდიის მეფე კრეზთან მივიდა გამომგონი ეიკოსმოსი. ამ ეიკოსმოსმა ხელოვნურ ფქვილის მომზადების საშუალებას მიაგნო და მზად იყო თავისი საიდუმლოება გაემჟღავნებინა მეფისათვის, თუ სამაგიეროდ იგი თავის ქალს—მზეთ-უნახავს ომფალას მიათხოვებდა. ბრძენი სოლონი ჰხედავს, ამ ბედნიერ გამოგონებას რა დიდი უბედურების მოტანა შეუძლიან. გაჰქრება სურვილი სიმშილის დაკმაყოფილებისა, გაჰქრება აგრეთვე პროგრესიც. „საჩქაროდ მოჰკალ ეიკოსმოსი,—ევედრება სოლონი კრეზს,—მოჰკალ, თუ შენ მეფე ხარ. ეიკოსმოსი უნდა მოკვდეს; მაგის გამოგონებას ისევ პელაზგთა ხანა მოჰყვება, როდესაც არც ხვნა-თესვა იყო, არც ბინადრობა და არც ზნეობა. მხოლოდ შრომას, რომელიც სიმშილს მოსდევს შედეგად, წინ მიჰყავს კაცობრიობა მეცნიერებისა და ხელოვნების 'გზით. შესაძლებელია,—განაგრძობს ცოტად მორბილებული სოლონი,—ისეთი დრო დადგეს, როდესაც სიმშილი აღარ იქნეს იმპულსად კაცობრიობის მოძრაობისა, მაგრამ «ჩემს გონებას არ ძალუძს ისეთის სიშორის განჭვრეტა.“ კრეზი ყოყმანობს, ვერ გადაუწყვეტია გამომგონის მოკვლა. იმას მხარს უჭერს მგოსანი ეზოპოსი, რომელსაც კარგად გამოუცდია სიმშილი და კარგად იცის, რა ხილიცაა იგი.

მეორე მოქმედებაში ეიკოსმოსი ურიგებს ხალხს ახლად გამოგონილ ფქვილს. გარშემო აუწერელი სცენებია, ყველანი ეხვევიან, ერთმანერთს სცემენ, ჰხოცენ, მაგრამ გამომგონი მაინც არ ჰკარგავს რწმენას, არ ესმის სოლონის ფილოსოფია და დასცინის მას. ეიკოსმოსის აზრით მხოლოდ სიკეთეს მიჰყავს წინ ხალხი. მარტო სიმშილი არ არის ადამიანთა მოქმედების საფუძველი. სიყვარული, მშვენიერება და თავისუფლება—აი, ის ძალნი, რომელნიც ამოძრავებენ ცხოვრების ჩარხს.

საქმე, როგორც სჩანს, სოლონის სასარგებლოდ სწყდება. ლიდიელთა წინსვლა, განვითარება შეჩერდა, რაკი სიმშილი დაიკმაყოფილეს და შესძლეს უშრომოდ ცხოვრება. ხალხს დაეტყო დაუდგრომლობა, სიზარმაცე, თავქარიანობა. მთელს თავისუფალ დროს პოლიტიკასა და უაზრო ლაყბობას ანდომებდა იგი. ბოლოს შესდგა პროტესტანტთა დასი და არეულობამაც იჩინა თავი. კრეზთან მივიდა დეპუტაცია და გამოუცხადა, ეიკოსმოსი დაგვანებეო. სოლონი კიდევ უფრო რწმუნდება, რომ გამომგონი უნდა დაისაჯოს, უნდა დაისაჯოს მთელის კაცობრიობის საკეთილდღეოდ და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარს იგი, თავისსავე ხელით აწვდის ჭიქით შხამს.

მარტო შინაარსის გადმოცემითაც მიხვდება მკითხველი, რომ „სოლონი ლიდიაში“, დრამატიული თხზულება-კი არა, უფრო ტრაქტატია. თუ გავიხსენებთ, რომ ჰერცლის სახელი მჭიდროდაა შეკავშირებული მთელს საზოგადოებრივ მოძრაობასთან, ადვილი გასაგებია, ავტორმა დრამის ნაცვლად ტრაქტატი რად დასწერა. მეტად საგულისხმოა პიესაში გამოთქმული აზრები აგიტატორისა და მოძრაობის მოთავისათვის.

⁂

ამას წინად ორ მოსწავლე ბავშვს გოლდინგენში დუელი ჰქონიათ. მიზეზი სულ უბრალო რამე ყოფილა. ლაპარაკის დროს ერთს „შეურაცხყოფა“ მიუყენებია მეორისათვის. დანიშნულ დროს მოწინააღმდეგენი რევოლვერებით მისულან; ორივეს საიდუმლოთ სახლიდგან წაუღიათ რევოლვერები. საბედნიეროდ არც ერთი გატენილი არა ყოფილა. მაგრამ, როდესაც გაუსროლიათ, ერთს ისე შეჰშინებია, რომ იქვე გული შეჰღონებია. ამით საქმე არ გათავებულა: საწყალი ძალიან ავად გამხდარა და ბოლოს ჭკუაზედაც შემცდარა.

⁂

ამბობენ, ისეთი სასტიკი ცენზურა არსად არ არის, როგორც ოსმალეთშიო. ამ ჟამად კონსტანტინეპოლშია თურმე შესანიშნავი ფრანგი არტისტი-ქალი ჟანნა გადინგი. გადინგს განუზრახავს ალექსანდრე დიუმას პიესის „ბაღდადელ პრინცესას“ წარმოდგენა. ერთს ცენზორს წაუშლია სათაური და უთქვამს, ძალიან რევოლიუციონურიაო, ასე რომ პიესა სხვა სახელით გამოუცხადებიათ. ცენზორს არტისტისათვის სცენაზედ არც „ბაღდადის“ წარმოთქმის ნება მიუცია. „ბაღდადიო, უთქვამს ცენზორს,—რკინის გზების საქმეს მოაგონებს მაყურებელსაო.“

„ივერიის“ ფოსტა.

ქ. ფოთს: ნ. ჭ—ს. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

დ. ხონს: ვ. ნ—ლს. თქვენი მოგონება ქართ. გალობის შესახებ არ დაიბეჭდება. დიდის ხნის ამბავია.

ქუთაისს: ი—ო. თქვენი წერილი ძრიელ დაგვიანდა და ამიტომ, სამწუხაროდ, ვეღარ ვბეჭდავთ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 მარტი.

პეტერბურგი. დღეს დაასაფლავეს გლ. უსპენსკი; დაესწრნენ თითქმის ყველა პეტერბურგში მყოფი ლიტერატორნი. სიტყვები არ უთქვამთ.

სარატოვი. სამოსამართლო პალატასთან არსდება იურიდიული საზოგადოება.

ვარშავა. აქაური გაზეთები აფრთხილებენ მცხოვრებლებს, ნუ წახვალთ სამუშაოდ შორეულ აღმოსავლეთში, რადგან იქ დიდი კონკურენციაა ჩინელების მხრივ, რომლებიც სამჯერ ნაკლებ ქირას ღებულობენო.

კელცი. ახლო ადგილებში მადნები აღმოჩნდა.

ლიქსემბურგი. დიდის ჰერცოგის ჯანმრთელობა თხოულობს მზრუნველობას; ტახტის მემკვიდრე დაინიშნა საქმეების გამგებლად.

რომი. „Tribuna“ გადაჭრით ამბობს, რომ იტალიის მთავრობა სრულებით არ ფიქრობს ექსპედიციის გაგზავნას ტრიპოლისში, როგორც არ ფიქრობდა წინადაც.

ბრიუსელი. გუშინ ზოგიერთა ქალაქებში სოციალისტებმა დემონსტრაციები მოახდინეს და ითხოვდნენ საყოველთაო არჩევნებს.

პეტერბურგი. ,,Times''-ის უკანასკნელ №-ში დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისისა, იაპონიისა და ამერიკის შტატების წარმომადგენელთ პეკინში წინდაწინვე გადაეცათ მანჯურიის საქმეების შესახებ პირობა, რომელიც შეჰკრეს ერთმანეთთან რუსეთმა და ჩინეთმა. ეს ცნობა არ არის ყურადღების ღირსი, რადგან პირობის შინაარსი განზრახ შეცდომით არის მოყვანილი. როგორც სანდო წყაროები იტყობინება, ნამდვილი პირობა მალე იქნება გამოქვეყნებული.

28 მარტს.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს წარმომადგენელს საუბარი ჰქონდა შჩერბატოვთან ინგლის-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის შესახებ. შჩერბატოვმა სთქვა: თუ ინგლისელები ყურადღებას მიაქცევენ რუსეთის განვითარებას და მის მცხოვრებთა სიტყვის ზრდას, მაშინ ცხადი იქნება, რომ მისი მრეწველობის ნივთების მოხმარება, რომელიც დღეს უდრის 250 მილ. გირვ. სტერლინგს, 30 წლის შემდეგ მოიმატებს ორი ათას მილ-მდე თუ სახეში ვიქონიებთ სასოფლო-სამეურნეო ინტერესების მნიშვნელობას რუსეთისათვის, უეჭველი იქნება, რომ იგი შეიძლებს ამ საქონლების უცხოეთიდგან მიღებას. ინგლისის ბრალი იქნება, თუ იგი ხელიდგან გაუშვებს რუსეთის ბაზარს. 30 მარტს ,,მენჩიონ გაუზში'' მოხდება რუსეთის საელჩოს მფარველობის ქვეშ კრება იმ პირთა, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ინგლის-რუსეთის ვაჭრობაში. შჩერბატოვი წაიკითხავს მოხსენებას, თუ როგორი ზომები უნდა იქმნას მიღებული ამ ვაჭრობის გასაძლიერებლად.

ბერლინი. საბაჟო ტარიფის კომისიამ მიიღო წინადადება, რომლითაც ორ ცენტნერ ჩაიზე ბაჟი ინიშნება 25 მარკა.

კონსტანტინოპოლი. უცხოელ დიპლომატების სიტყვით, მაკედონიაში საქმეების მდგომარეობას უარესობა არ ეტყობა. გაზეთების მიერ მოყვანილი ამბები გადამეტებულია. აჯანყება მოსალოდნელი არ არის.

ვენა. რეიხსრატი როდესაც პრეზიდენტს უნდა ხმების შეკრება შესახებ გერმანულ და ჩეხურ სამრეწველო სკოლების დაარსებისა, გერმანელები საერთოდ ფეხზე წამოდგნენ და წარმოუდგენელი ხმაურობა ასტეხეს. ძველ გერმანელთა პარტიის წევრმა ირომ წაავლო ხელი პრეზიდენტის ზარს და შეუჩერებლივ ურტყავდა სტოლს. ზარი ხელიდგან გაუვარდა და კინაღამ მოხვდა პრეზიდენტს თავში. სხდომა შეწყვეტილ იქმნა ნახევარ საათით.

ბერლინი. გერმანიის კანცლერის ავსტრო-უნგრეთში წასვლის გამო გაზეთები სწერენ, რომ ამ წასვლას კავშირი არა აქვს სპეციალურ პოლიტიკურ ან ეკონომიურ საგნებთან მხოლოდ იგი არის ახალი დამტკიცებული საბუთი გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის მეგობრულის განწყობილებისა.

სოფია. ,,ბოლგარიის სადეპეშო სააგენტო'' იტყობინება, რომ საფუძველს მოკლებულია ის ცნობა, ვითომც სოფიაში უნდა მოხდეს მალე სარევოლიუციო კონგრესი, რომელიც მიიღებს დიდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას.

ლონდონი. რეიტერის სააგენტოს შეუტყვია, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომც მშვიდობიანობის შესახებ მოლაპარაკების საქმე წინ მიდისო.

ბრიუსელი. ისპანელ რესპუბლიკანელე-ლელის აქედან წასვლის დროს სოციალისტებმა დემონსტრაცია მოახდინეს, როდესაც მეფე, ბიარიციდგან დაბრუნებული, გადმოვიდა ვოგზალიდგან, სოციალისტები შემოეხვივნენ მის ავტომობილს, აგრიალებდნენ წითელს ბაირაღებს და ყვიროდნენ: გაუმარჯოს საყოველთაო არჩევნების უფლებას და რესპუბლიკასაო! გამოწვეულ იქმნა მილიცია და ჟანდარმთა ბრიგადები.

პეტერბურგი. უმაღლესი მადლობა გამოეცხადა ფლიგ. ად, თავ. ობოლენსკის უმაღლესის მინდობილობის საუცხოვოდ ასრულებისათვის იმ მინდობილობისა, რომლითაც დაევალა მას ზომების მიღება შემახელთათვის დასახმარებლად.

პეტერბურგის ბირჟა, 27 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,05
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$4\frac{1}{2}$—$6\frac{1}{2}$
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{5}{8}$ გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$98\frac{3}{4}$ „
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94\frac{3}{8}$ წვ. გაყ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	307 გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	
$4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. აქციები ,,	
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	461 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	—
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	323 წვ გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ, (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (49ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ბორჯომში, ვორონცოვის ქუჩაზედ, სამკურნალო წყლების პარკში იძლევა ქირით საზაფხულოდ ქ. ტფილისის ორ-სართულიანი ქვითკირის აგარაკი (აბესალომისეული) ავეჯით და სხვა საჭირო შენობებით. აგარაკი ახლად შეკეთებული იქმნება და გაიცემა ერთად ან თვითო სართული ცალკე. ესევე აგარაკი **იყიდება.**

ცნობებისათვის მსურველმა უნდა მიჰმართოს ტფილისის ქალაქის გამგეობას ყოველ დღე, 10-დგან 3 საათამდე.

(3—6.—1).

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა

ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმაწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა .	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
სალიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოლელისა.	„ 10
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამოდის ნათელა, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	15 ,,
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 ,,
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	30 ,,
აბო ტფილელი, ე. კ.	30 ,,
Або Тифлисскій, Е. К.	5 ,,
ამბავი მადლის ქვისა	5 ,,
აკიდო საუმაწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 ,,
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 ,,
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 ,,
ბენია	10 ,,
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელისა	15 ,,
ბაში-აჩუკი, აკაკისა.	30 ,,
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის	1 მ. 30 ,,
გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ.	1 მ. 20 ,,
აღმზრდელი, აკაკისა	5 ,,
გასართობი	10 ,,
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—სა	15 ,,
გუსტავ ვაზა	3 ,,
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	60 ,,
გიორგი და მიხეილი	10 ,,
Древній Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ავ. ცაგარელისა	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 "
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
დედა, ანდერსენისა	8 ,,
დამონებულნი, თარ. თ. სახოკიასი	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 ,,
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10 ,,
Давидъ Гареджели, Е. К.	15 ,,
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	15 ,,
ელენე, მოთხრობა	5 ,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 ,,
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	20 ,,
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლისა	5 ,,
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	3 ,,
პატარა ლორდის თავგადასავალი	30 ,,
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.	25 ,,
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილისა	40 ,,
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანისა.	60 ,,
აერო დღესასწაული	25 ,,
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ძისა.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	30 ,,
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძისა	40 ,,
თამარ-დედოფლის სამკაული	10 ,,
თამარ ლაზნელი, ან. ფურცელაძისა	50 ,,
ისტორია ქართულ სტამბებისა	15 ,,
იანიჩარიდ., ნახუცრიშვილისა.	40 ,,
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნწ. ქუთათელაძისა	60 ,,
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ-სა	,, 30
საუმაწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილისა.	,, 50
სუმბული, ს. ქვარიანისა.	,, 20
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა	,, 50
უკვდავთა ლაღადებანი, მ. ჯანაშვილისა	,, 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	,, 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილისა	,, 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა	,, 40
ქეთო და სონა, საუმაწვილო მოთხრობა	,, 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ისა	,, 25
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 ,,
კანდელი, მ. ღლაშვილისა	15 ,,
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	30 ,,
კუბიკები ქართულის ანბანისა	1 მ. 20
ლექსები განდეგილისა	,, 50
ევდოშვილისა	,, 50
რ. აბაშიძისა	,, 60
დ. გაბრუაშვილისა	,, 25
მელის წიგნი, კ. თაყაიშვილისა	,, 40
მუშათა კითხვა	,, 15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყონჩოშვილისა	1 ,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	,, 40
მეცნიერებისთვის წამებულნი	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლისა	,, 10
ნათელა, აკაკისა	,, 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ისა	,, 20
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი	,, 40
Новая постановка педагогическаго дѣла	,, 20
სამი პოემა, ან. ფურცელაძისა.	,, 50
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა.	,, 5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა	,, 10
სახუმარო გასართობი	,, 10

Дозволено цензурою. Тифлисъ 28 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.